

ქართული
გაზეთები

ქართული გაზეთები



№ 9




გორდილთაძის — სემბეგბერი.



1911

შინაარსი.

I—ალერსი, —სურ. ო. კრეფმანისა	1
II—სურათი, — ლექსი გ. ქუჩიშვილისა	3
III—ნაკადულთან, — ვ. მაღაქიაშვილისა	5
IV—ყმაწვილის ნატვრა—ლექსი ს. ა—ძისა	17
V—დასჯილი ღვთაება, —(თარგმანი) სურ. კლდიაშვილისა	20
VI—ლაზური ზღაპრები II, — (ქანეთში ჩაწერილი) ი. უიფ- შიძისა	24
VII—ორი მხატვარი, — შემდეგი (თარგმანი) დ. ავაღანისა.	28
VIII—გრიგოლ ტატიშვილი, — ნ. ნ—ისა	40
IX—უმაფთულო ტელეგრაფი, —(თარგმანი), — დ. ჯანაშვი- ლისა	43
X—ზღვის სიმდიდრე, — ზარეცკისა, (თარგმ.) ნ. წუწუნავასი.	50
XI—ტროადის ომი, — ალ. მიქაბერიძისა	60



ნაპარუკი

საქმადვილო ჟურნალი

თბილისი მუხრანის.

საქართველო, 1911 წ.

292



ალექსი.—სურ. ფ. ერუდინაძე



შინაარსი.

I—აღერსი, —სურ. ა. ერეკლმანისა	1
II—სურათი, ლექსი გ. ქუხიშვილისა.	3
III—ნაკადულთან, — ვ. მადაქიაშვილისა	5
IV—ყმაწვილის ნატვრა—ლექსი ს. ა—ძისა	17
V—დასჯილი ღვთაება, —(თარგმანი) სურ. კვდიაშვილისა	20
VI—ლაზური ზღაპრები II, (კანეთში ჩაწერილი) ი. ეიფ- შიძისა	24
VII—ორი მხატვარი, —შემდეგი (თარგმანი) დ. ავ ლიანისა.	28
VIII—გრიგოლ ტატიშვილი, —ნ. ნ—ისა	40
IX—უმავთულო ტელეგრაფი, —(თარგმანი), —დ. ჯანაშვი- ლისა	43
X—ზღვის სიმღერა, —პარეცკისა, (თარგმ.) ნ. წუწუნავასი.	50
XI—ტროადის ომი, —ავ. მიქაბერიძისა	60





ს უ რ ა თ ი.

ზღა ფითრდებოდა...

სიბნელეს
სული ჰხდებოდა,
ჰქრებოდა;

თვალებს ჟუტავდნენ ვარსკვლავნი,
ლამის გუშაგი ცხრებოდა.

ფრთა-ლალსა

ნიავეს ჭალისას

ადრიან გაჰღვიძებოდა,

მის ხმა-ტკბილ ნანას მიდამო

სიამით გაჰყუჩებოდა.



ცაში აჭრილი ტოროლა
განთიადს ეგებებოდა;

პირ-მოცინარე ალიონს
გალობით ესალმებოდა.


—

მაღალის მთების მდინარე
მოიმღეროდა ბარადა,
ახმაურებდა ტყე-ქალებს
სიცოცხლის გასახარადა.

—

ყოველი არსი, სულ-დგმული,
მზის სხივებს ელოდებოდა
და ამ ლოდინში ბუნებაც
ყვაოდა, იფურჩქნებოდა.


გ. ქუჩიშვილი.





ნ ა კ ა დ უ ლ თ ა ნ .

I



არამანი თავის ღუქნის დერეფანში ბოლთასა სცემდა. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, წინ ფეშტა-მალი აეფარებინა, თავზე ნაბდის ქული ჩამოეფხატა, ფეხებზე ქუსლებ-ჩაქყლეტილი წულები ეცვა. იქვე შეჯგუფულიყო ყანიდან მომავალი რამდენიმე მუშა. ზოგი თოხს დაყრდნობოდა, ზოგიც ჩიბუხის ტარს სწოვდა და დრო გამოშვებით პირიდან კვამლს ამოისვროდა. ერთობ ღარიბულად ეცვათ. ერთს მზისაგან დამწვარ-შერუჯული გული უჩანდა გაოფლიანებულ პერანგის გულის-პირიდან.

ყველა ჩუმად იყო.

— როგორი სათოხარია, სარდიონო? — იკითხა ყარამანმა და ისევ განაგრძო ბოლთის ცემა. ეტყობოდა, პასუხის მიღება დიდად არ ეპიტნავებოდა.

— ცუდი ძალიან... ერთობ გამოგვალულა, — ისევვე უგუნებოდ უპასუხა სარდიონმა.

— თუ მალე წვიმა არ მოვიდა, მაინც დავიღუპეთ და ისაა, — დაუმატა მეორე მუშამ, — სულ „შემქნარი“ აქვს სიმინდს ფოთოლი...

— დაიმშა სწორედ; დაიმშა სოფელი, — კიდევ სთქვა ყა-



რამანმა და ბოლთის ცემა განაგრძო. არავის ყურადღებას არ აქცევდა.

ერთხანს საერთო ღუმელი ჩამოვარდა.

— ვასო, ერთი თუთუნი მამაწვევინე, — უთხრა ყარამანმა სვეტთან ატუზულ თოთხმეტ-თხუთმეტის წლის ზიქს, რომელიც ნაშუადღევის აქეთ მის დუქანში ცუდად იყო და ძილის მეტი არა გაუკეთებია რა. ტანზე ჩამოხეული ხალათი და შარვალი ეცვა, პირისახეზე დაფხრეწილი ყაბალახი ჩამოედო. სახის კანი სულ დამწვარი ჰქონდა მზისაგან.

— მე არ მთხოვო, შენ ცოტა გიწყვია აი იმ თაროებზე! — უპასუხა ყარამანს და დუქნისკენ მიუთითა, — შენგან არ ვიციდე ეს თუთუნი?

— შე კაცო, მე შენი ნახელავი გამიხარდება, თვარა მე სხვაც ბევრი მაქვს იქა, — ეშმაკურის ღიმილით უთხრა ამ სიტყვებზე ყარამანმა და ვასოს წინ გაუჩერდა.

— ოჰ, ერთი შენი ენის ტყავი მომცა ქალამნად... რამდენ ხანს გამიძლებს, — სიცილითვე უთხრა ვასომ.

ამ დროს ყარამანმაც წაატანა თუთუნიან ჯიბეს ხელი, ვასომაც უკან დაიხია და თუთუნი მისცა, თან დაატანა:

— აა, შე გაუმადლარო კრიჟანგო, შენა!..

— როგორ? ტყვილი გითხარი რამ, ჩემო ვასიკო თუ? — ღრეჭით უთხრა ყარამანმა და პაპიროსის დარგვალეობას შეუღდა.

— არა, შენმა სიცოცხლემ!.. სულ სხვისაგან რომ ცდილობ პატივი იცე, ერთი შენც ეცი სხვას პატივი... ერთხელ მაინც დაგავიწყდეს შენი სიხარბე და გაუმადლობა... ერთი შაურის ნისიას არ მომცემ, სანამ ფულის ხმას არ გაიგონებ, საქონელზე არც-კი შემახედებ...

მუშებს ამ სიტყვებზე ეღმებოდათ. მთელმა სოფელმა იცოდა მედუქნე ყარამანას სიძუნწე და ვასოს სიტყვებიც, რასაკვირველია, სამართლიანად ჩასთვალეს. თუმც არც ვასოზე



იყენენ კარგის აზრს: — „შენც კარგი დოვლათი ყავხარ შენს ბატრონსო,“ თითქმის ასე ფიქრობდა ყველა მათგანი ამ დროს.

ყარამანა მართლაც დიდი ძუნწი რამ იყო. ყოველ წამს იმას ცდილობდა, რომ მის ღუქანში სავაჭროდ შესულ კაცი: სათვის რაიმე წაეფტქენა: ჯერ ვაჭრობაში არ დაინდობდა, ან წონას დააკლებდა, ან ფულს შეირჩენდა—ხურდა არა მაქვსო ეტყოდა,—ან კიდევ, ვინ იცის, რას არ მოიგონებდა. შემდეგ ან პაპიროსზე შეეპატიებოდა, ან ღვინო ჩამომისხიო, ეტყოდა. თან ამ დროს მუდამ იცინოდა, იღრიჭებოდა.

ვინც იცოდა მისი ხასიათი, ყურადღებასაც არ აქცევდა, ხოლო ვინც არ იცოდა, სირცხვილში ვარდებოდა და ყარამანასაც თავისი წადილი უსრულდებოდა: კვირაში ორჯელ არ ისადილებდა თავის ფულით, შაურის პაპიროსსაც არ დახარჯავდა თავის ჯიბიდან, სულ სხვის ხარჯით გამოდიოდა. პაპიროსის მოსაკიდებელ ასანთსაც ათასში ერთხელ-თუ მიაწოდებდა ვისმე.

ამასთან ერთად ვასომაც გაიკეთა პაპიროსი.

— ბიჭო, რა შენი საქმეა პაპიროსის წევა?—შენიშნა ერთმა წელში მოკუზულმა მოხუცმა მუშამ, რომელიც დაკოყრილ ხელის გულზე იბერტყავდა დაკლილ ყალიონს.

— შენ თუ ლოკავ მაგ ყალიონის ტარს, მე რა შევიქენი? კაცად არ მაგდებ თუ?—კადნიერად უთხრა ვასიკომ და ზიზღით შეჰხედა მოხუცს.

— სიდან შოულობ მაგის ფულს? მამაშენს რა აქვს იმდენი, რომ ცეცხლში დასაწვავად მოგცეს!—უთხრა ისევ მოხუცმა.

— მამა მისს სთხოვოს პაპიროზის ფული და ახლა რომ სცემს იმდენს უზამს კიდევ,—სთქვა მეორე მუშამ ღიმილით.

— რავა, მე თქვენ გთხოვეთ რამე თუ? ხელი გამოგიწიეთ მათხოვარივით? ენა დაამაგრეთ, თვარა ვინცხას იქნება ერთს კარგად მოვაგუნდავებ!..—დაიქაძნა ვასიკომ და გულ მოსული ჩაჯდა.



მოხუცმა ერთ ხანს იყურა ვასიკოს, ეტყობოდა სწორედ
ლი გულმოსული იყო, შემდეგ თოხი გაიღო მხარზე და წასა-
სვლელად გამზადებულმა ჩაილაპარაკა:

— შენ რომ წაღმართი კაცის შვილი იყო, სკოლიდანაც
არ გამოგრიცხავდნენ, დედ-მამასაც სიცოცხლეს არ გაუჭირე-
ბდი და მთელ ქვეყანას თავს არ შეიძლებდი... უბედური
შენი პატრონი!

ამ სიტყვებით მოხუცი გზას გაუდგა.

— რას ბურღლულობ, შე მოკუხულო?— მიადახა ვასი-
კომ და მოხუცისკენ გაიწია.

— ბიჭო, რა შენი საქმეა მაგისტანა ხნიერ კაცებთან გა-
მოლაპარაკება? — შენიშნა ყარამანამ, — შენ შენი ტოლები
მონახე...

— შენც გამოგიწვიე ჩემ მოსამართლეთ, არა?— ყარამანა-
საც შეუტია ვასომ. შემდეგ ისევ დასაჯდომი მონახა და
გულ-მოსული გაიბუტა. ყარამანასაც ხმა არ გაუცია...

ამასობაში დუქნის დერეფანში შეუქმნიელად შემოვიდა
ბრმა მათხოვარი, რომელიც ცალის ხელით შვიდი-რვა წლის
ბავშვს დაყრდნობოდა. სახე ნაყვავილარი ჰქონდა, ზედ თხელი
შავი წვერი ესხა. თვალები სულ დახუჭული ჰქონდა, ტანზე
შალის ნაფლეთები ემოსა. ბავშვიც გარუჯულ-გაშავებუ-
ლი იყო, საწყლად გამოიყურებოდა, ხანდისხან საცოდავად
აპოიგმინავდა, ყველას მოკრძალებით ათვალთვლებდა...

ორივენი ფეცარზე ჩამოჯდნენ; ბრმამ ახლა ორივე ხელე-
ბი მაღალ ჯოხს დაადო და გაქვავებულივით თავ-აშვერილი
გაჩერდა... ბავშვი საცოდავის გამომეტყველებით შეჰყურებდა
მოლაპარაკეთ.

— რა ქენი, ბერძენო? იშოვე სიმინდი, კვერცხი?— მი-
მართა მათხოვარს ყარამანამ და ზურგზე წამოკიდებული ხალ-
თუკა გაუსინჯა.

ბავშვმა ქართული არ იცოდა, ყარამანის სიტყვებზე ზე-



ზე წამოდგა, საბრალოდ გაიღიმა და მუნჯურად აგრძნობინა — კიო. ყარამანამ ხალთა დუქანში შეიტანა.

— ბერძენი... ქრისტიანი... ღმერთმანი!.. — წაილაპარაკა თავის მხრივ ზეზე ამდგარმა ვასომ და ბავშვს თავში ხელი წაჰკრა. პატარას ხმა არ გაუცია, მხოლოდ შეშინებულმა აპხედა, სახეზე რაღაც ვედრება გამოეხატა და შემდეგ ყარამანას შეჰყვა დუქანში. ვასოც თან დაედევნა. ბრმა-კი დერეფანში დარჩა.

— აბა, ნახე გუშინდელ სიმინდისათვის თუ მომიკლია, — უთხრა დახლში ჩამხტარმა ყარამანამ მათხოვარ ბავშვს და სიმინდიანი ბათმანი აჩვენა.

ეს სიმინდი გუშინ იშოვეს მათხოვრებმა; ზიდვა გაუძნელდათ და ყარამანას მიაბარეს, დღეს ბათმანად უნდა მოესრულებინათ და ყარამანაც იყიდდა გარიგების თანახმად.

ბავშვმა ჩაიხედა ბათმანში და ხმა არ ამოუღია...

— შენ ქრისტეს ფეხის მომჭრელი ხარ, მოაკლებდი უთუოდ მაგ სიმინდს, — უთხრა ვასიკომ ყარამანას და დახლს ჩამოაწვა.

— ეგ შენი საქმე არაა, — უპასუხა ყარამანამ და მათხოვრის ხალაიდან ახლად მიტანილი სიმინდი ჩაცალა ბათმანში. ქურჭელი გაივსო, — კიდევ ცოტა მორჩა.

— ეს ზედმეტია და შენ წაიღე, უთხრა ბავშვს და ბათმანი ტომარაში ჩასცალა.

ბავშვს სიმინდი არ მიჰქონდა და თან სახეზე რაღაც თხოვნა ეხატებოდა.

— არ გინდა წაიღო? თუ გინდა, ესეც მომიყიდე... რა მოგცე? კაპიკს მოგცემ... — უთხრა ყარამანამ.

ბავშვმა ორი თითით აჩვენა ორი კაპეიკო.

— შე ჩერჩეტო ბერძენო, ეგ შაური ღირს, შაური... ორ კაპიკათ აძლევ მაგ წურბელას, — მიაყვირა ბავშვს ვასიკომ და კიდევ წაჰკრა თავში.



ბავშვს ხმა არ გაუცია, ხოლო ყარამანას ისევ არ აჩვენებდა

— ვასიკო, შენ ენას მოუკელი, თვარა ცხონდა მამიჩემის სული, მე შენ გვერდები დაგიზილო, — შენიშნა ყარამანამ.

— ხახვს გადამაჭრი თავზე, უთხრა ვასიკომ და ახლა კარებში გაჩერდა.

ყარამანა ბავშვს მოურიგდა სიმინდში. გამოართვა ოცამდე კვერცხი და ახლა ფულის მიცემას შეუდგა. ხელად დაიდო წინ „დაღანჭალებული“ საანგარიშო ჩოთქი და დაიწყო ანგარიში.

— სიმინდის ხუთი შაური და ორი კაპიკი... აბაზის კვერცხი... ეს ცხრა შაური და ორი კაპიკი... გუშინდელი კვერცხების ორი აბაზი... ესეც ოთხი აბაზი, ერთი შაური და ორი კაპიკი... ანგარიშობდა ყარამანა.

ბავშვმა ფულები გამოართვა მედუქნეს და რაღაც ნაფლეთებში გამოჰკრა. შემდეგ უბეში ჩაიღო და კარში გამოვიდა. კარაპანზე გადმოსვლისას ვასომ ფეხი გადუხარისხა და კინალამ კისრით დასცა. ბავშვს ცოტა უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე და ბრმას მიუჯდა.

— არ მოიშალო შენი უკუღმართობა, ჰო... — მიაძახა ყარამანამ ვასოს, როცა ბავშვმა წაიბორძიკა

ცოტა ხანს შემდეგ, მათხოვრები გზას გაუდგნენ. მეწისქვილესთან მიდიოდნენ ღამის გასათევად. ვასომ ეს კარგად იცოდა, რადგან ამ დილაზე, როცა მეწისქვილის ფაცერში თევზის მოსაპარავად წავიდა და ხახა მშრალი დარჩა, — ეს მათხოვრები წისქვილიდან გამომავალი ნახა. უკან მეწისქვილე გამოჰყვა და უთხრა — ამეღამაც აქ მოდიოთ. მათხოვრებმაც თანხმობა განუცხადეს.

ვასო ამ მოგონებით კმაყოფილი დარჩა და თავში მისთვის ფრიალ სასიამოვნო აზრმა გაუარა.



„უთუოდ ის ფულები უნდა ავაფუცქენა ამ მათხოვრებსო“, გაივლო გულში, და, ცოტა ხანს შემდეგ, კიდევ გაედევნა უკან.

დაბინდა. მზე კარგა ხანია, რაც ქვეყანას გამოემშვიდობა... სოფელი ღამის კალთებს იფარებს... სიგრილემ დაჰკრა...

II

— ესეც კარგი ლუკმა ვიშოვე, — გაიფიქრა ვასიკომ და ეშმაკურად გაელიმა. შემდეგ პაპიროსი გაიკეთა და ყარამანას დუქანს ღიღინით გაშორდა. როგორც-კი სოფელში შევიდა, ფეხს აუჩქარა, მიაშურა იმ ადგილებს, სადაც მათხოვრებს უნდა გაეარნათ.

— ისე შევატყვე, მანეთზე მეტი ფული ექნებათ, — ჰფიქრობდა ვასო, — ორიოდეს იმ გახუხულ ბავშვს უთავაზებ გვერდებში და იმ ფულებსაც ავაგლეჯ... კარგი საშოვნელია, ერთ კვირაში პაპიროსის ფულად მეყოფა... ორიოდე ბოთლ ღვინოსაც მიყიდის... ისეთ ადგილას ჩაუსაფრდები, რომ ხელიდან ვერ წამივიდეს... ვერც ვერავინ გამიგებს, იქ ყრუ ადგილია... — ამ ფიქრებში წასულ ვასოს სიხარულიც ემჩნეოდა, და ჩიტვიტ მიჰქროდა დასახვედრ ადგილისკენ. მათხოვრები შორის გზით მიდიოდნენ, ვასომ-კი მოკლევადიანად გზა იცოდა და ხელად უყვლა წინ. პაპიროსის წევას თავი ანება და სულ გატრუნული მიუახლოვდა ნიშანში ამოღებულს ადგილს.

იქ დაბალი და ჩირგვ მორეული ბუჩქნარი იყო .. დასავლეთიდან სერები ადგა თავზე, აღმოსავლეთით-კი გაშლილი მინდორი... იქით კიდევ კარგა მანძილს შემდეგ, სოფელი იწყებოდა... შუა და ბოლოში სერების ნაჟური კარგა მოზრდილი ნაკადული ჩამოჩანჩქარებდა. ამ ნაკადულს, ცოტა ქვევით, კიდევ რამდენიმე ამხანაგი ემატებოდა და შემდეგ-კი ყველა ერთად შეერთებულის ძალით. ვით საყვარელი ძმები, სო-



ფელს წისქვილს უბრუნებდნენ, საფქვავს უფქვავდნენ? — თან, რამდენიც შეეძლოთ, გვალვის დროს, ყანებსაც ურწყავდნენ და ძუძუსაც აწოვებდნენ. — ზაფხულობით მთელის სოფლის საქონელი ამ ნაკადულთა ტალღებით იკლავდა წყურვილს და ბავშვების ჯყუმპლობასაც დასასრული არა ჰქონდა... ბევრი ოჯახიც ამ ნაკადულთა წყალს ხმარობდა.

ვასო იმ ადგილს მივიდა, სადაც ნაკადულზე ფიცარი იყო ხილად გადებული, აქ უნდა გასულიყვნენ მათხოვრები. ბილიკს აშორდა, აღმართზე ავიდა და ერთ ვეებერთელა ცაცხვის ძირას დაჯდა სათვალთვალეზლად.. იქავ მოლუკლუკებდა ნაკადულიც.

ვასიკომ კარგად იცოდა, რომ მათხოვრები ჯერ კიდევ კარგა ხანს ვერ მოვიდოდნენ: გზაც დიდი უნდა გამოეცლოთ და თვითონაც ძლივს მოლოლავენენ.

ღობილო ხმა მიმკვდარებული იყო... გარინდებული უცქეროდა მოკრალეებულ ცის ლაყვარდს... კაშკაშა მთვარე და მოციმციმე ვარსკვლავები ლალად ჩამოსცინოდნენ... უხილავი არსება ზურმუხტის კაბას ცვარით უსხურებდა...

ჯერ კიდევ დღის სუნი იყო, სავსებით არ დამდგარიყო ღამის მეფობა... სოფლიდან დრო-გამოშვებით თითქოს კაცის დაძახილიც-კი ისმოდა, ძაღლის ყეფაც... აქა-იქ მბუუტავ ლამპარსაც მოჰკრავდით თფლს...

ცოტა არ იყოს, ვასიკოს აფიქრებდა ეს გარემოება, მეტი მყუდროება და სიბნელე უნდოდა. თან და თან გულის ფანცქალი იპყრობდა, სუნთქვა უძნელდებოდა. მართალია, ამისთანებში გვარიანად დაგეშილი იყო, ქურდობაშიც კარგა გაწვრთნილი ბრძანდებოდა: ვინ იცის, რამდენჯერ მოგებარა, როგორც მეზობლებში, ისე თავის სახლში კვერცხები, ქათამი. ფული, მაგრამ ისეთი საქმე-კი, რომლისთვისაც ახლა ემზადებოდა, ჯერ არა ჩაუდენია რა. ისიც მართალია, რომ ჩხუბში და კრივში ძალიან გამოცდილი იყო, თავის ტოლებს ყველას

სჯობდა, მაგრამ ეს გარემოება მაინც პირველი იყო და ძალაღონა ვეფქრებოდა თავის სიმარდისა და ძალ ღონისა.

— რაფერად უნდა მოვიქცე? — ფიქრობდა მწვანე მოღში წამოწოლილი ვასიკო, — დაეინახავ თუ არა, მაშინვე ავდგები, ფეხ-აკრებით წავალ და ხელად ბიქს დავეტაკები... უყვირებ და მაშინვე ფულს მომცემს... არა, აგრე არ ივარგებს.. არა სჯობია, ხმა სრულებით არ ამოვიღო... პირდაპირ ვეცემი ბავშვს უბეში და იქ ექნება... მორჩა და გათავდა... სწრაფად ხელსა ვკრავ და იმ ბრუტიანს მოვაშორებ, თორემ, ვინ იცის... იქნება ის კომბალი მომიქნიოს და კარგადაც მთხლი-შოს გოგრაში... ან იქნებ მოტყუებით გამოვართვა იმ ბავშვს ფული? ვითომ მგზავრად მოვდივარ, შევხვდება და ვეტყვი, ფული დამიხურდავე-თქო... და როცა ფულებს მომცემს, კიდევ ავაფცქვნი... მერმე ხვალ დილაზე ისეთ პაპიროზს ვიყიდი, რომ... ბანქოსაც ვითამაშებ, გუშინ ფული არ მქონდა და იმისთვის არ მიმიღეს მოთამაშებმა... ღვინოსაც ვიხლავ, მარა მაშინ რა ვქნა, ოუ მამა ჩემმა გამიგო, უთუოდ მომკლავს... — ასეთ ფიქრებში ვასიკო დიდხანს იყო გართული... — სუ .. ეს რა ჩიტი გალობს? რა მშვენიერია! წამოიჩურჩულა და ყურები სცქვიტა, სული განაბა...


ცაცხვზე-კი ბულბული ლოცულობდა... ნახად უსტვენდა, რაკრავებდა... ნაღვლით ამონაკვენეს სიხარულს ჩააცვებდა..

ვასოს გულის სიჩი შეირხა, ბულბულის სტვენამ წყნარად შეუნძრია... რაღაც შვება იგრძნო... გულს ეამა...

— სუ .. ნაკადულის ლუკლუკიც რომ მშვენიერად ეწყობა ამ ჩიტის გალობას! — კიდევ წაიჩურჩულა ვასომ და ნაკადულსაც ყური ათხოვა.

ის-კი, ნაკადული, სიყვარულით ჰკოცნიდა თავის ნაპირებს. . თან სიამით ეელურტელებოდა, მთის ზღაპრებს უამბობდა, იქ ნახულ და ნაგრძნობს უზიარებდა...

ნაკადულისა და ბულბულის ხმები ერთმანეთს ეწონებო-



და და, სამუდამოდ გადაგრეხილი, ველად იბნეოდა, ში იფანტებოდა.

ვასოსაც მეტის სიამით აუთოთოლა ამ ჰანგებმა გულის სიმები... სიტკბოებამ უღიტინა გულში... სხეული ტკბილის შარბათით დაუთრო, მოუღუნა.

სულ განაბულია... გულის სიღრმეში ჩამარხულ სიტკბოებისა და შვების გორგალი თან და თან ეშლება, ერღვევა... და, სიამოვნების უხილავ ძაფებად ქცეული, მთელს სხეულში ეხლართება, ძარღვებთან ერთად ეშლება...

მის და შეუმჩნევლად წამოჯდა, მიდამოს გადაჰხედა...

არე-მარე ციურ აიაზმით ნასხურია... ზურმუხტის მკერდზე მთვარის სხივებით ნაქარგი საბანი წაუხურავს...

შორს, სოფელს იქით, თითქოს მდეგები დამსხდარანო, მთანი სჩანან... შავად მორთულნი იღუმალებით გამოიყურებიან...

ზურგს მთვარე უკოცნისთ... ზედ იისფერ დოლბანდსა ჰქსოვს...

დობილოში ხენი გულ ხელ დაკრფეილი სდგანან, ვით აღმზიანები ძლიერ ხატის წინაშე... კდვმა-მოსილნი შესცქერიან მათათა ხატებას...

სასოებით ისმენენ ბუღბუღლისა და ნაკადულის მშვენიერების წინაშე ღვთაებრივ ღაღადს...

— ოჰ, რა კარგია აქაურობა! წაიდუღუნა ვასიკომ და, გულზე ხელე დაკრფეილი, თითქოს გაქვავდაო... თვალები არე-მარემ მოსტაცა... ყურები—ნაკადულმა და ღამის მგოსანმა...

გულში-კი ნექტარი აუჩქეფდა... დღემდის უგრძნობი შვების წყარო ამოუქუხდა .. დაავიწყდა ყველაფერი, გაშორდა ამ ქვეყანას... თან წაიღო ბუღბუღლის ხმამ... რუს დუღუნმა ფრთებზე შეისვა, წალკოტისკენ წააფარფატა... მთვარემ სხივებით თვისკენ მიიზიდა, მთებისკენ გააფრინა.



შუბლი გაეშალა... სახემ გაუცინა... ყველაფერს რულოთ დაუწყო ცქრა..

ასეთი რამ ვასოს არა უგრძენია რა თავის სიცოცხლეში. . ასე ბედნიერი, ასე გულკეთილი არასოდეს არ ყოფილა... მზადაა მთელი ქვეყანა გულში ჩაიკრას, ჩაიკონოს, შვების ცრემლებით ასველოს...

დიდხანს, დიდხანს იდგა გაბრწყინებული... ტუჩები სიამით აუმოძრავდა... ადგილიდან ფეხს ვერ იცვლიდა...—გარინდებული იყო...

მათხოვრებიც გამოჩნდნენ... ბავშვი წინ მოდიოდა, ბრმას მის ზურგზე ხელი დაედო და ისე მოჰყვებოდა... ხან ხეთა ჩრდილებში იმალებოდნენ, ხან მთვარის სხივებზე სჩანდნენ.

ვასოსაც გულში თითქო ნემსი დაესო... გამოერკვა... საშინლად შერცხვა... გააწითლა გადაწყვეტილების მოგონება...

თავი ჩაჰკიდა... თვალი მოარიდა მათხოვართა აჩრდილებს... და სირცხვილით დამწვარმა უცებ ჩაიკეცა...

შერცხვა თავისი თავისა, იქაურობისა... მთელი სხეული მოეშხამა... გული დაეთუთქა...

ღმერთო ჩემო, რას ვაპირებდი, რას?—გაიფიქრა და ტუჩები ჩაიკვნიტა...

თავისი თავი საზიზღარ არსებად წარმოუდგა... ზევით წამოხედვისა შერცხვა... შეეშინდა... ასე ეგონა, მთელმა ქვეყანამ იცოდა მისი წელანდელი ფიქრები და განზრახვანი... ყოველ წუთს ელოდა იქაურობის მის დასასჯელად, დასაცინებლად და მიწასთან გასასწორებლად ალაპარაკებას...

ბულბული და ნაკადული თუ წელან გულს უხარებდნენ, ახლა თითქოს ასე ესაყვედურებოდნენ:—შენ ღირსი არა ხარ—ჩვენი ხმები ისმინო, წადი, გასწი აქედანაო!..

დიდხანს დასჩერებოდა დედამიწას დარცხვენილი ვასო, თითქოს საშინელ გადაწყვეტილების გამოცხადებას ელისო ..

მათხოვრები უკვე გავიდნენ ხილზე და წისქვილს შურეს...

ნაკადული ისევ დუღუნებს...

ბულბული კვლავ ლოცულობს და გუნდრუკს უკმევს მშვენიერების საკურთხეველს ..

მთები ისევ მდევებივით სხედან...


მთვარე კვლავ დაულალავად ხლართავს სხივთა მანდილს...

ვასომ-კი ვერ გაუძლო სინიდისის ქენჯნას და ფიცხლავ განშორდა იქაურობას...

მათხოვრების სახეს თავს ვერ აღწევდა... მათი აჩრდილები თან მიჰყვებოდა, არ შორდებოდა... სირცხვილი და სინიდისის ქენჯნა შავს დღეს აყენებდა...

— ღმერთო, რას ვერჩოდი იმ საწყლებს, რას?.. რისთვის უნდა გამეუბედურებინა საცოდავნი?.. უსინიდისო ვარ, უპატიოსნო, — ბუტბუტებდა ვასიკო და სახლს უახლოვდებოდა...


ვ. მალაქიაშვილი.





ყვავილის ნატვრა.

(უძღვნი აკაკის).



ას აქეთ, რაც კითხვა ვიცი,
ერთი ნატვრა მქონდა სულა,
მაგრამ ბედმა, იმ მუხთალმა,
მე იგი არ ამისრულა.

როცა ვინმე ბავშვობაში
ლექსთა კრებულს მე მომცემდა,
ლექსთა წყობა, ჰარმონია
სიტყვებისა მაოცებდა.

ნორჩსა გულსა ღრმად სწვდებოდა
ზეციური ტკბილი ხმები,
მათგან გამოღვიძებული
სული მქონდა ნაამები.

მაკვირვებდა მე ლექსების
თავისუფლად, მწყობრად დენა,
რა თქმა უნდა, არ ვიცოდი,
რომ მათ ჰქმნიდა აღმაფრენა.

არ ვიცოდი, მაგრამ ვგრძნობდი
 ბავშვის ნორჩის გონებითა,
 რომ ის ძალა სანეტარო
 მოვლენილი იყო ცითა,

რომ იმ ლექსის დამწერელი
 არ იქნება ჩვენისთანა,
 როცა ცეცხლი ღვთაებისა
 ნათელს გვაფრქვევს იმისგანა.

და მე ჩემი ოცნებითა,
 ძვირფასს მგოსანს მივწვდებოდი,
 რაც ცეცხლი მის გულში ენთო
 იმითი მეც ვიწვებოდი.

და შევთხოვდი ხშირად უფალს,
 გაზრდა მეთქი დამაცალე,
 რომ ველირსო მგოსნის ნახვას,
 მერე თუნდა მომკალ მალე!

ორი მგოსნის ნახვა მქონდა
 სიყრმიდგ. ნეე აღნიშნული,
 მათ სურათის დანახვაზედ
 ხშირად ჰფეთქდა ჩემი გული.

მე იმათი ნაწერებით
 სულის საზრდოს ვმოულობდი,
 ჰარმონიას, პოეზიას,
 ჭკუას მათში ვპოულობდი.

მაგრამ ღმერთმა ერთ მათგანის
 ჩემგან ხილვა არ ინება,
 მას მოუხდა მტარვალთ ხელით
 საუკუნოდ დაძინება.




მეორე ჯერ მარჯვედ არის,
 კვლავ მსახურებს აღმაფრენას,
 ძმარ-ნაღველით გაჟღენთილი
 ციურის ხმით გვიტკობს სმენას.

ნეტა მაინც მას ვნახავდე—
 ნატვრა ჩემი ამისრულდეს,
 ღვთიურ სახით აღგზნებული
 გრძნობა გულში გამიხურდეს.

ნეტა ყველა გამაცნობა
 ცეცხლ-აღზნილი ის გმირები,
 ვისც არ ვიცნობ, მაგრამ ვისკენც
 სასოებით ვიმზირები.

ს. ა—ძე.





დასჯილი ღვთაება.

(იამონური ზღაპარი).



იდი ხანია, რაც ეს ამბავი მოჰხდა. მეტის-მეტად ცხელოდა და გვალვიანი დღე იდგა. ტოკიოს¹⁾ მცხოვრებლები წყურვილით იხრჩობოდნენ, მაგრამ მდიდარი და გულ ქვა ეჩივოდა²⁾ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა აუტანელ სიციხეს. მოიხმო მოსამსახურე ჯაგორო³⁾ და დაავალა:

ეროი ტომარა ბამბა დაბა გონჯოში მიმიტანეთ.

მზე ძლიერ სწვავდა საბრალო ჯაგოროს და ისიც ნელის ნაბიჯით მიაბიჯებდა მძიმე ტომარა — მოკიდებული. აუწყრელი სიხარული იგრძნო საბრალომ, როდესაც მიუახლოვდა

¹⁾ ტოკიო — იაპონიის დედა ქალაქია.

²⁻³⁾ ეჩივოდა და ჯაგორო კაცის სახელგია.



იმ ალაგს, სადაც მგზავრების მფარველი ღვთაება ჯიზოს¹⁾ ქანდაკება ას-წლოვან ხეებს შორის ამაყად გამოიყურებოდა! დაღალულ-დაქანცული ჯაგორო მივიდა, ჩამოიხსნა მძიმე ტვირთი და მოსასვენებლად მიწვა. მაგრამ დაღლილობა მოერიდა და, პატარა ხანს შემდეგ, ტკბილად ჩაეძინა.

როდესაც გამოეღვიძა — დაინახა, ტომარა აღარ არის... არა სჯეროდა ტომრის დაკარგვა და მერე ისიც ასეთ ალაგას! მიიკითხ-მოიკითხა, ტაძარში მსახურთაც მიჰმართა, მაგრამ ნამდვილი პასუხი ვერავისაგან მიიღო და გადასწყვიტა პოლიციას შეეატყობინებო. დაღონებული შინ დაბრუნდა და ბატონს მოახსენა ტომრის დაკარგვა. ბატონმა არ დაუჯერა და გაჯავრებით უთხრა:

— როგორ წარმოვიდგინო, როგორ დავიჯერო, მგზავრების მფარველმა ღვთაებამ ყურადღება არ მოგაქცია ტომარა მოაპარვინა ვინმეს? ალბად ჩაის დაღევა მოინდომე და, რადგან ფული არ გქონდა — ბამბა დაუტოვე.

ამოდ ეფიცებოდა საბრალო ჯაგორო, დამნაშავე არა ვარო. ტომარა მომპარეს, როდესაც ღვთაების ქანდაკების ქვეშ მიმეძინაო.

ბატონმა ჯაგორო მინც გააგდო და ქურდის სახელი დაუვარდა.

გაბრაზებულმა ჯაგორომ გადასწყვიტა, საქმეს სასამართლოს გადაეცემ და იმედი მაქვს — ბრძენი ოოლა²⁾ ყველაფერს სამართლიანად გამოიძიებსო.

დაიმედებული მივიდა სასამართლოში და მოისურვა მსაჯულ ოოლას ნახვა. მაგრამ მსახურებმა რომ დაინახეს ღარიბად ჩაცმული უბრალო მუშა, მსწრაფლ სასამართლოდან გააგდეს... საბრალო ჯაგორო იქვე სასამართლოს კარებს წინ

1) იაპონია, კერპ-თაყვანის მცემელი ქვეყანა და ერთი კერპთაგანი იყო მგზავრების მფარველი ღმერთი ჯიზო.

2) ოოლა — სახელია.



დაემხო და ასე იყო დამხობილი სამი დღე და სამი ღამე, ვინაირე ოოლას ყურადღება არ მიიპყრო.

ოოლას დიდად შეეცოდა ღარიბად ჩაცმული მუშა და გამოიძია მის მწუხარების მიზეზი. როდესაც დაწვრილებით შეიტყო ყველაფერი, — გადასწყვიტა ამ შემთხვევაში ღვთაება ჯიზოს დავიწყებია თავისი წმინდა მოვალეობა და უსამართლოდ მოჰქცევია იმაზედ დანდობილ ღარიბ მუშასაო.

— რადგან ღვთაებას დავიწყებია თავისი საღვთო მოვალეობა, ის დასჯის ღირსია! — სთქვა ოოლამ და გასცა ბრძანება, დატუსაღებული სასამართლოში მოიყვანეთო.

ხალხი შიშმა შეიპყრო. მაგრამ ოოლას ბრძანებას ვერავინ გადაუდგებოდა და ურიცხვი ხალხი მოგროვდა მის საყურებლად, თუ როგორ დაატყვევებდნენ ხალხის საყვარელ ღვთაება-ჯიზოს. პატარა ხანს შემდეგ, მოვიდნენ ოოლასგან გამოგზავნილი კაცები, მაგრამ ვერ ასწიეს მძიმე ქანდაკება და, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, ხალხს გამოუტხადეს, ვინც დაგვეზმარება და ქანდაკებას წაგვადებინებს, ნება ექმნება დაესწროს საქმის გარჩევას სასამართლოშიო. ამ მოწოდებაზედ ათასობით მოვიდა ხალხი დასახმარებლად. საერთო ძალით მსწრაფლ შეკოჰქეს და მიიტანეს სასამართლოში ღვთაების ქანდაკება.

მეორე დილას მოვიდა მსაჯული ოოლაც. შემოსვლისათანავე, ხალხის მიუსალმებლად, მიჰმართა ღვთაება ჯიზოს ცივ-ქანდაკებას და მოსთხოვა პასუხი. მსაჯული ჰკიცხავდა მის საქციელს, აბრალებდა დაუღვერობას და დაჟინებით ჰკითხავდა, სად დაიკარგა ტომარა ბამბითაო.

ხალხმა სიცილი ვერ შეიკავა და თან უკვირდა, სიბრძნით განთქმული დიდებული მსაჯული ელაპარაკება ცივ ქანდაკს... მაგრამ ჰკვიანი და გამჭირაზი ოოლა ამ შემთხვევას უცდიდა. რა დაინახა, ხალხი დასცინოდა მის საქციელს, ოოლამ მრისხანე სახის მეტყველება მიიღო და მსახურებს უბრძანა კარები დაეკეტათ და ამავე დროს ხალხს გამოუტხადა, დატუსაღებულნი ხართ, რადგან დასცინეთ უმაღლეს მსაჯულ-

საო... შემდეგ გაგზავნა თავისი მსახურები, შეატყობინეთ და ტუსადებულთა მშობლებსა და მეგობრებსა, თუ ამათ... უნდათ, მოვალენი არიან მოიტანონ თითო ტომარა ბამბა თითო დატუსადებულის გასათავისუფლებლად.

სწორედ ამ ამბის გამოცხადების დღეს გონჯოს არე-მარის ვაჭრები განსაკუთრებით კარგად ვაჭრობდნენ ბამბით. დაღამებამდე რამდენიმე ათასი ტომარა ბამბა უყვე იყო მოტანილი სასამართლოში და ყოველ ტომარაზედ იყო მიკრული პატარა ბარათი, თუ ვისგან არის მოტანილი, მისი გვარი, სახელი, ბინის ადგილი და ვის გამოსასყიდლად არის მოტანილი.

როდესაც აურაცხელი ტომარა მოგროვდა, მსაჯულმა უბრძანა ჯაგოროს დაეთვალიერებინა ყველა ტომარა. გახარებულმა ჯაგორომ იცნო თავისი ტომარა და მის მომტანი იქვე დაატუსადეს. როდესაც ოოლამ გამოჰკითხა მომტანს, თუ საიდან გაუჩნდა ეს ტომარა, მომტანმა უთხრა, ეგ ტომარა ვიყიდე ერთ ღუქანშიო.

მსაჯულმა მსწრაფლ მოაყვანინა მიმყიდველი. მიმყიდველმა ძალა-უნებურად დაასახელა ქურდები, ვისაც მიეყიდნათ თვით მისთვისაც. ოოლამ ქურდები მსწრაფლ მოაძებნინა, მიაკრა თოკით ღვთაება ჯიზოს ქანდაკებას და უთხრა:

— ქურდების ღმერთმა ¹⁾ მიამბო თქვენგან ჩადენილი ავაზაკობა. თქვენ მუშას მოჰპარეთ ერთი ტომარა ბამბა, როდესაც მუშას ჯიზოს ქანდაკების ფეხით ეძინა და მიჰყიდეთ აი ამ ვაჭარს. ხომ არ ჰფარავთ დანაშაულს?


ქურდები გამოტყდნენ. ხალხი საოცრად გააკვირვა ოოლას ბრძნულმა ჭკუამ და სამართლიანობამ.

ღვთაება ჯიზოს ქანდაკება ახლაც რაკოიონის ²⁾ ტაძრის გაღვანში სდგას თოკებით შებოკილი, ამ შემთხვევის სახსოვრად. მას აქეთ მრავალმა წელმა განვლო, მრავალჯერაც უქურდნიათ, მაგრამ ოოლას მზგავსი მსაჯული იაპონიაში არ ჰყოლიათ.

სერ. კლდიაშვილი.

1) იაპონიაში აგრედვე არის ქურდების ღმერთი.

2) რაკოიონი—იაპონიაში ტაძრის სახელია,



ლაზური ფლავრები *)



II

მ ქვეყანას ერთი მდიდარი კაცი იყო. უთვალავი სიმდიდრე ჰქონდა; ჰყავდა მხოლოდ ერთი ვაჟი. გარდაიცვალა ეს კაცი და ქონება ვაჟს დაუტოვა. ვაჟი ძლიერ პატარა

იყო. როცა გაიზარდა, ვაჟმა თავის ბიძებს უთხრა: „ცოლი შემრთეთო.“ ბიძებმა სთქვეს „ამ ვაჟს ჩვენ არ დავვიწყებთ; მისი ბიძები რო ვართ, მუდამ ახსოვს. ახლა ჩვენც ამას ისეთი საცოლო მოუნახოთ, ქვეყანაზე უკეთესი არ მოიპოვებოდეს, ნამდვილი ქვეყნის თვალი იყოს. ძმისწულმა არ სთქვას, ბიძა-ჩემებმა ცუდი ქალი შემრთესო.“ ერთი მშვენიერი ქალი მოჰნახეს და ძმისწულს შეჰრთეს. ვაჟი და ქალითავიანთ სახლში სხედან და განცხრომით არიან.

გავიდა რამდენიმე დრო. ქალი ძლიერ ავად გახდა, ეს-ესაა კვდება. ვაჟი წავიდა და ერთ გორაკზე ღმერთს შეეხვეწა: „ნუ მომიკლავ, ღმერთო მაღალო, ჩემ საყვარელ მეუღლეს! ჩემი სიცოცხლე შუაზე გაჰყავ და ნახევარი იმას უბოძე; თუ მოგვკვდებით, ორივე ერთ დღეს მოგვკვდეთ!“

ისმინა ღმერთმა ვაჟის ვედრება და ქალი მორჩა. ვაჟმა ქალს უთხრა:

*) იხ. „ნაკადული“ № 8.



ქართული
საბავშვო
ლექსები

— ეს ამდენი საცხოვრებელი რად გვინდა? — გავყიდეს და დოთ, წავიდეთ და ქალაქში ვიცხოვროო, — გაჰყიდეს და ქალაქისკენ გაემგზავრნენ. ერთ ადგილს მოშვიდათ, დასხდნენ და პური სჭამეს. ვაჟს ძილი მოერია და ცოლს უთხრა:

— შენ კალთაში დამაძინეო. — ცოლმაც დააძინა.

ცოტა ხანს შემდეგ, ქარავანი გამოჩნდა. როდესაც ქარავანი ცოლ-ქმარს დაუახლოვდა, მექარავნებმა ქალს ჰკითხეს:

— ეს ვაჟი შენი რა არის?

— ჩემი ქმარია.

— ცოდვა არა ხარ, ასეთი მშვენიერი ქალი და ასეთი გატრუსული ბიჭი ქმრად გყავდეს!

— რა გაეწყობა, ჩემი იღბალი ესა ყოფილა!

— შენი ბედ-იღბალი შენ ხელთაა, მიატოვე ეგ ბიჭი და ჩვენთან წამოდი, — უთხრეს მექარავნებმა.

— მუხლზე მიწვეს და როგორ წამოგყვით?

— მუხლი ფრთხილად გამოაცალე და მის მაგივრად ეს ტომარა წაუდევინე — უთხრეს მექარავნებმა.

ქალმა მართლაც ტომარა წაუდვა თავის ქმარს თავ ქვეშ, თითონ მექარავნეს შემოუჯდა ცხენზე და გასწიეს. ბიჭმა როგამოიღვიძა, ნახა, ქალი აღარ არის. აქეთ-იქით ეცა, მაგრამ ვერსად ვერ იპოვა. საწყალი კინალამ ჰკუზხედ არ შეიშალა! ბოლოს შეჯდა ცხენზე და გაემგზავრა. მიატანა ერთ სავაჭრო ადგილს და აქ ყავახანაში ჩამოხდა. შუალამისას ამ ყავახანაში მოქეიფე ყმაწვილები მოვიდნენ და სმა ჰამას შეუდგნენ, ქეიფს ეწვიან. ერთმა ყმაწვილმა სთქვა:

— მექარავნემ რომ ქალი მოიყვანა, ისეთი მშვენიერი ქალი ჩემ დღეში არ მინახავს... — ამ სიტყვებს იმ ვაჟმა ყურადღება მიაქცია, მაგრამ იმ ღამეს არაფერი არა სთქვა, დილით იმ მოქეიფე ყმაწვილს ჰკითხა:

— წუხელი რომ ქალს ამბობდი, გინახავს ის ქალი?

— როგორ არ მინახავს, მექარავნესა ჰყავს.

— აბა, თუ კაცი ხარ, ის ქალი მაჩვენე.

— ძალიან კარგი! ადგი, წავიდეთ გაჩვენებ.

მივიდნენ მექარავენესთან და ჰკითხეს:

— სად არი შენი მოყვანილი ქალი?

— ვალი ფაშამ *) წამართვა, — მიუგო მექარავენემ. მივიდნენ ფაშასთან და ჰკითხეს:

— მექარავენესთვის რომ ქალი წაგირთმევია, სად არის?

— ფადი-შაჰმა **) გაიგო და იმან წამართვა, — უთხრა ფაშამ.

ფადი-შაჰთან მივიდნენ.

— ვალი-ფაშას რომ ქალი წაართვი, სად არის ის ქალი?

— რა ქალი, ვინ ქალი? მე არა წამირთმევიარა, — ბრძანა ფადი-შაჰმა.

— არა, ღმერთმანი, შენ წამოგიყვანია, შენ წაგირთმევი, იძახდნენ ესენი: — ან ქალი გვაჩვენეთ, ან და რალაცას ცუდს ვიხამთ. ფადი-შაჰმა უბრძანა, ქალი გამოეყვანათ. ამ ვაჟმა ქალს საყვედურით მიჰპართა და უთხრა:

— არა გრცხვენიან, მე მიმატოვე და აქ გამოიქეცი! აქ რას აკეთებ?

— მე შენ ვერ გიცნობ, ვინა ხარ? — უთხრა ქალმა.

— როგორ თუ ვერ მიცნობ? მე შენი ქმარი არა ვარ?!

ალმა უთხრა:

— შენ ვინა გგონივარ, ფადი-შაჰის მეუღლეს „ჩემი ხარო“ როგორ უბედავ?

ფადი-შაჰსაც გული მოუვიდა:

— ეს ვინაა, ჩემ მეუღლეს „ჩემი ხარო“ ეუბნება? — და ბრძანა ბიჭი დაეჭირათ. ვაჟი მაინც იძახდა: „ეს ქალი ჩემი ცოლია, მომეცი — წავიყვანო.“ ფადი-შაჰმა სთქვა:

— ამის სიტყვების ყაბული ვერ გაეხდები. ეს ბიჭი წაიყვანეთ და თავი მოსტერიით.

ბიჭმა უთხრა ფადი-შაჰს

*) „ვალი-ფაშა (არაბ. — თათრ.) ნიშნავს „ოლქის მმართველს, გუბერნატორს.“

**) „ფადი-შაჰი“ (სპარს. — თათრ.) — ხელმწიფეს.



— შენთან ერთი სათხოვარი მაქვს, იმის მოხსენება მაკეთებლე და თავი მერე მომკვეთონ.

ფადი-შაჰმა უთხრა:

— მაშ, სტკვი, რას ამბობ?

— მე იმას გეხვეწები, — დაიწყო ვაჟმა, — ეს ქალი ჯარის-კაცებითურთ ერთ გორაკზე გამატანო; როდესაც უკან დავბრუნდეთ, თავი მაშინ მომკვეთე.

ფადიშამ ნება მისცა და წავიდნენ გორაკზე. როდესაც მივიდნენ, ვაჟმა მიჰმართა ღმერთს შემდეგის ხვეწნით: „ამ ადგილს, ღმერთო მაღალო, მე წინად გვევლდე: ჩემ საყვარელ ცოლს ნუ მომიკლავ-მეთქი, შენც არ მომიკალი. ახლა ცოლმა მიღალატა და ამისთვის გვევლდები: ჩემის სიცოცხლის ნახევარი ისევ მე დამიბრუნე და ეს-კი მოჰკალი.“

ღმერთმა ისმინა ვაჟის ვედრება და ქალი იმ წამსვე მიწად იქცა. ჯარის-კაცი შეშინდნენ: ფადი-შას რაღა მოვახსენოთ, ეს ქალი მიწად იქცა! ვაჟმა უთხრა:

— მე წამიყვანეთ უკან ფადიშასთან და ყველაფერს მოვახსენებ. თქვენ ნუ გეშინიანთ. როდესაც მიბრუნდნენ, ფადიშამ ჯარისკაცებს ჰკითხა:


— ეს კაცი რომ მოიყვანეთ, ქალი სადღა არის? — ჯარის-კაცებმა ხმა ვერ ამოიღეს. ხელმეორედ ჰკითხა — ქალი რა იქნაო. ჯარის კაცებმა ახლა-კი მოახსენეს: — ქალი მიწად იქცა.

— ფადიშაი შეშინდა, ამ ვაჟს ხელ-ფეხი დაუკოცნა და შეეხვეწა:

— ცუდად მოგეპყარ, მაგრამ სამაგიეროს ნუ გადამიხდი. რაც ქალები მყავს, დაათვალიერე და რომელიც მოგეწონება, შენი იყოს. ვაჟმა უპასუხა:

— მე ქალი აღარა მსურს, აწი ცოლს არ შევირთავ, ესეც მეყოფა. ფადიშამ ვაჟი ვეზირად გაჰხადა და გვერდზედ მოისვა, მაგრამ ვაჟმა უთხრა:

— გამიშვი, შენი არაფერი მინდა რა. დაჰკრა ფეხი და სადღაც გადაიკარგა.



მ რ ი მ ხ ა ტ ვ ა რ ი .

(შემდეგია)

თ ა ვ ი V .



რიდლის გაქცევამ პესტალოცი ძლიერ შეაწუხა და მაშინვე შეუღდა იმის ძებნას, მაგრამ ყოველი ცდა ამაო გამოდგა. სანამ ახლო-მახლო უბნებში დაეძებდნენ, ფრიდლიმ უკვე მოასწრო „ახალ ეზოდან“ შორს, ძლიერ შორს წასვლა, რასაც მისი აღმზრდელი სრულიად არ მოელოდა.

ფრიდლი, თუმცა მთლად ვერ შეეგნო, რა ცუდად მოიქცა, ამხანაგი რომ გალახა, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ რაღაც კარგი საქმე ვერ ჩაიდინა. ამასთან ბავშვს გაახსენდა, რა ცუდად ეპყრობოდა მამა ყოველ უბრალო დანაშაულისთვისაც-კი, თუმცა პესტალოცი არასოდეს არ სცემდა და საზოგადოდ ყველა თავის მოწაფეებს ძლიერ ეფერებოდა და კარკად ექცეოდა,—მაინც პატარა რეგვენი ისე შეიპყრო მომავალ სასჯელის შიშმა, რომ გადასწყვიტა სკოლიდან გაქცევა. და აი, მეორე დილას, როდესაც ყველა კიდევ ღრმა ძილში იყო,

ჩუმიდ წამოდგა ლოგინიდან და, რადგან მისი ოთახის დაკეტილი აღმოჩნდა, გააღო ფანჯარა, წაავლო ხელი გარეულ ვაზის ტოტებს, რომელიც კედელზედ იყო აყოლებული და ბაღში ჩაცოცდა. ბაღში ჯერ იმ ადგილისკენ გასწია, სადაც წინა დღით ერთი ცემა-ტყევა იყო. იქ კიდევ ეგდო მკვდარი კატა, რომელიც რისთვისღაც საღამოს არ გადაეთრიათ. ფრიდლი დაჯდა ძირს, ცხარე ცრემლის ღვრით ჰკოცნიდა კატას და თანაც, რაც-კი შეეძლო, ნაზ და სააღერსო სიტყვებით იხსენიებდა თავის საყვარელ ფისუნას. შემდეგ კატა ხელში აიყვანა და მთელი ბაღი შემოატარა. ერთ ადგილას ნახა, ღობე კოტათი გამოიმტკრეული იყო. ფიქრით თავი არ შეიწუხა: გამოძვრა ღობეში კატიანათ და, უკან აღარც-კი მოუხედნია, ისე წაეხეტა იმ გზით, რომელიც მინდვრებს ჩაჰყვებოდა.

სკოლიდან რომ მიდიოდა, ფრიდლი არც-კი ფიქრობდა, თუ რა მოელოდა შემდეგში; უთუოდ მის სუსტ ტვინს ამისი ფიქრი არც-კი შეეძლო. ფრიდლი მიდიოდა, საითაც მოხვდებოდა. მისი სურვილი იყო, როგორმე თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი სასჯელი და, რაც შეიძლებოდა, შორს გაცლოდა თავის მტერს. მართლაც, სკოლიდან გაქცევის მეორე დღეს დაქანცული და მშვიერი ფრიდლი მივიდა ერთს პატარა ქალაქს ააროიში.

ქალაქის მისავალში ერთი პატარა დუქანი იყო, რომელსაც სახელად „წითელი მამალი“ ერქვა. დუქნის პატრონი დედაკაცი ამ დღეს რაღაც დიდ ზრუნვაში იყო გართული. საქმე ისაა, რომ ეს რამდენიმე ხანია პატივცემული დიასახლისი ატყობდა, რაღაც მიზეზის გამო დუქნის ვაჭრობამ თანდათან იკლო. ამიტომ, მეტი მუშტარი რომ მიეზიდა, განიზრახა საჩაიეს კარებს ზემოდ აკრულ განცხადების ფიცრის გამოცვლა.

— ვიცი, რომ კარგ განცხადების ფიცარს დიდი, ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს; ამიტომ გთხოვ, ბატონო ფრეი-



დენბერგ, ისეთი მამალი დამიხატოთ ფიცარზე, რომ შორი-
 დანაც ყველა გამვლელ-გამომვლელს თვალში ხვდებოდეს. —
 ასე ეხვეწებოდა მეტრაქტორე ქალი ერთს თავის ნაცნობ მხა-
 ტვარს; მხატვარს-კი ამ დროს კედელზე კიბე მიეყუდებინა და
 სინჯავდა, ხომ მაგრადაა მიდგმულიო.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ძვირფასო ქალბატონო! ისე-
 თი მამალი დაგიხატოთ, ისეთი, ისეთი—რომ უკეთესი არ შე-
 იძლებოდეს! — უთხრა მხატვარმა, როდესაც დარწმუნდა, კიბე
 კარგად იყო მიყუდებული კედელზე. — მაგრამ, — განაგრძო
 ცოტა სიჩუმეს შემდეგ, — თქვენ მაინც უფრო გემრიელი სა-
 კმელები უნდა ამზადოთ და ღვინოც უკეთესი იქონიოთ, თუ
 გსურთ მეტი მუშტარი გყავდეთ, თორემ, ხომ მოგეხსენე-
 ბათ, განცხადებაზე დახატული მამალი ყველას კუქს ვერ გა-
 უძღობს.

ეს რომ სთქვა, ფრეიდენბერგმა აიღო სამხატვრო კალა-
 მი, საღებავები, ავიდა კიბეზე და თავის სამუშაოს შეუდგა.
 დიასახლისი ცოტა ხანს კიდევ იდგა კარებთან და შემდეგ სა-
 მზარეულოში წავიდა.

ფრეიდენბერგი მალალი და გამხდარი კაცი იყო; სახე
 ჰქონდა მოღუშული და უსიამოვნოდ გამოიყურებოდა. ახლა,
 კიბეზე რომ იდგა, ისე გულმოსული აქნევდა თავის სამხატვ-
 რო კალამს, თითქოს ვიღაც უჩინარ მტრის მოკვლა სურსო.

იყო დრო, როდესაც ფრეიდენბერგი უფრო კარგს ყო-
 ფაში იყო და განცხადების ფიცრების თითხნა არ სჭირდებო-
 და. ღმერთს სამხატვრო ნიჭით დაეჯილდოვებინა და ყმაწვი-
 ლობისას გვარიან სურათებს ხატავდა; მაგრამ, ნაცვლად იმი-
 სა, რომ მუყაითად ემუშავნა და თავისი ბუნებრივი ნიჭი გა-
 ნევეითარებინა, ზარმაცობას მიჰყო ხელი და, რასაც იწოვნიდა,
 სულ უბრალო რამეებსა და ღვინოში ფლანგავდა. ბოლოს
 ისე გადაეჩვია მუყაით შრომასა და კარგ საზოგადოებაში
 ტრიალს, რომ მეტი არა დარჩენოდა. — უნდა უბრალო გან-



ცხადების ფიქრები ეხატა და ამით ლუკმა ჰური ეშოვნა. ახლა კიბეზედ იდგა და, რაც შეიძლებოდა, გულ-მოდგინედ აჭრელებდა მამალს, რომ ამით ესიამოვნებინა გულკეთილ დიასახლისისთვის, რომელიც ყოველ წამს გამორბოდა სამხარეულოდან და ათვალისწინებდა, როგორ მიდიოდა მხატვრის მუშაობა.

ბოლოს, ასე—ორ საათს შემდეგ, მამალი თითქმის მზად იყო. დიასახლისი გამოვიდა სამხარეულოდან, რომ ფრედენბერგი სადილად მიეწვია. მამალი რომ დაინახა, გაკვირვებით ხელი ხელს შემოჰკრა:

— ოჰ, ბატონო ფრედენბერგ! — წამოიძახა განცვიფრებით: სწორედ ჩემ სიკოცხლეში არაფერი მინახავს ასეთი მშვენიერი! მერე როგორ მოახერხეთ ასეთ შესანიშნავ მაშლის დახატვა?

— ხა, ხა, ხა! ხომ წინადგე გითხარით, კმაყოფილი დარჩებით-მეთქი, — უბასუხა სიცილით მხატვარმა.

— სწორედ ისეთი მადლობელი ვარ, ისეთი, რომ სადილად მთელ ბოთლს საუკეთესო ღვინოს დაგიდგამთ, — მხიარულად უთხრა მეტრაქტირე ქალმა, — ახლა-კი დროა სასადილოდ წამოიბრძანდეთ.

თუმცა ასე ბეჯითად იწვევდა დიასახლისი სადილად, ფრედენბერგი არ ჩქარობდა კიბიდან ჩამოსვლას: ისევ იდგა და თავის საქმეს განაგრძობდა. რამდენჯერმე კიდევ გაავლო სამხატვრო კალამი მამლის კუდს, წაუსვა ფრთებზე, ზურგსაც შეეხზა და შემდეგ ერთხელ კიდევ გადახედა თავის ცოტათი დაუმთავრებელ ნაწარმოებს; ბოლოს თავი მოუყარა ერთად სამხატვრო კალამებს, საღებავებს, ყველა ეს ერთ ადგილას დააწყო კიბის ზემოდ და გასწია სასადილო ოთახში, სადაც დიდი ხანია ელოდებოდა მხიარული და კმაყოფილი „წითელ მამლის“ პატრონი ქალი.

სუფრას, თვითონ დიასახლისსა და ფრედენბერგს გარ-

და, უჯდა დიასახლისის ათის წლის ვაჟი, სახელად ვილი. სადილის დროს ვილი უამბო:

— ეს ესაა, ერთი საოცარი ბავშვი ვნახე: თავი რალაც ვეებერთელა ჰქონდა და ზედ ჯაგარივით თმა ესხა; თითები ჰქონდა სხვილი, მეტად სხვილი; კისერი-კი ისეთი მოკლე, თითქოს სულაც არა აქვსო.*

— ჰო, კარგი ვილი, გეყოფა! თუ კაცი ხარ, მეტს ნურაფერს დაუმატებ, — შენიშნა ღიმილით მხატვარმა, თორემ, მგონი, ჩვეულებრივ კრეტინის ნაცვლად, როგორსაც ჩვენს შვეიცარიაში ძლიერ ბევრს შეხვდებით, ნამდვილ საშიშარ საფრთხობად წარმოგვიდგენ.

— შესახედაობა ისეთი უსიამოვნო აქვს, — თავისთვის განგრძობდა ბავშვი და მხატვრის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა, — ისეთი უსიამოვნო, რომ პირველად სწორედ შემეშინდა; შემდეგ ვხედავ — ბავშვს მაინცა-და-მაინც არა უშავსრა, კეთილია, მხოლოდ ძლიერ ცოტას-კი ლაპარაკობს. მასთან, ეტყობა, საბრალოს ძლიერ უნდა შიოდეს, ისე გულ-და-წყვეტით შემოჰყურებდა ჩემ საუზმეს, თუმცა თხოვნი-კი არ უთხოვნი საჭმელი; მაგრამ, როდესაც ჩემი საუზმე შუაზე გაუყავი, ისე გაუხარდა, რომ ხელი ხელში მტაცა და კოცნა დამიწყო. შემდეგ დავიწყეთ თამაშობა და სადილობამდის სულ ერთად ვთამაშობდით.

— ძლიერ მოხარული ვარ, რომ ასე ჰკვიანად მოქცეულხარ და შენი საუზმე იმ მშვიერ ბავშვისათვის გაგიყვია, — უთხრა მეტრაქტირე ქალმა და შეიღს თავზე ხელი გადაუსვა: შემდეგშიაც ყოველთვის ასე მოიქეცი, ჩემო კარგო!

— მაგრამ იცი, რა გითხრა, დედიკო: რაც თავი და თავი იყო, ჯერ ის სულაც არ მითქვამს, — დაუმატა ვილი და თან წვენის ქამასაც ათავებდა: — იმიტომ არა ვსთქვი, რომ სუფრაზედ ამისთანა რამის ლაპარაკი არ შეიძლება.

— რაკი დაიწყე, სთქვი ბარემ! შეჰნიშნა მხატვარმა: —

მე ამისთანების ლაპარაკი არ მეზიზღება და დედა-შენიც, უთუოდ, ამ შემთხვევაში ნებას მოგცემს.

— კარგი, ჰო, სთქვი და გაათავე ერთი! უნდა გავიგოთ, რა ამბავი მოჰხდა, — სთქვა დიასახლისმა.

— აი, რა, — განაგრძო ვილიმ, რომელიც, ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა ამ გადაწყვეტილებით: — ბავშვს ხელში რუხი მკვდარი კატა ეჭარა, რომელსაც ისე ეფერებოდა, ხელს უსვამდა და ჰკოცნიდა, თითქოს მკვდარი კატა-კი არა, მისი საკუთარი პატარა ძმა ყოფილიყოს; თან ამ აღერსის დროს განუწყვეტლივ იმეორებდა: „ჩემო საყვარელო, ჩემო კარგო ციცუნია! ციცუნია მომიკვდა... ბოროტმა რუდიმ მომიკლა ქვით! ფრიდლის ძლიერ უყვარს თავისი ციცუნია!...

— ეჰ, ჩემო ძმაო! ეგ რაღაც უცნაური ამბავია! — სთქვა მხატვარმა და თან დიდ ნაქერ შემწვარ ხორცს გადაუძახა მოუკუპრავში.

— შენ ერთი ეს მითხარი, არ იცი, სადაური იყო ეგ ბავშვი?

— არა, ბატონო ფრეიდენბერგ! რავდენს ვეცადე, გამეგო მისი ვინაობა, მაგრამ ვერას გავხდი; მხოლოდ იმის გაგება მოვახერხე, რომ ბავშვს ფრიდლი ჰქვიან, — ჩაფიქრებით წარმოსთქვა ვილიმ.

— ის მ.ინც არ უთქვამს, სად მიდიოდა თავის მკვდარ კატიანათ ჰკითხა თავის მხრით დედამ.

— არა, დედიკო, არც ეგ უთქვამს, მხოლოდ, როდესაც სახლისკენ წამოვედი, ეკლესიის გალავანთან დასდო კატა და ისე ჩასცქეროდა, რომ თვალს არ აშორებდა.

— ძლიერ ვწუხვარ, რომ აქ არ მოიყვანე ის საბრალო, — შეჰნიშნა დიასახლისმა: — კარგად ვაკმევდი, ვასმევდი, და ცოტა რასმე საეძლადაც მივცემდი. ჩვენს, ღვთის მადლით, ყველაფერი გვაქვს და სხვასაც უნდა დავეხმაროთ.

ცოტა კიდევ ილაპარაკეს ფრიდლის შესახებ. შემდეგ



მხატვარი და მეჩაიე ქალი დაუბრუნდნენ ისევ თავის განცხადების ფიცარს, რომელზედაც წითელი მამალი ეხატა.

— ოთხ საათზე ჩვენი განცხადება სულ მზად იქნება, — სთქვა ფრეიდენბერგმა და თან სუფრიდანაც ადგა, რომ ისევ სამუშაოზე წასულიყო. — ახლა ნეტავი იმისი გაგება შემეძლოს, განაგრძობდა მხატვარი: — თუ ვინ იქნება პირველი მუშტარი, რომელსაც ჩვენი წითელი მამალი შემოიტყუებს!

— რასაკვირველია, ვინმე კარგი კაცი იქნება, — სიცოლით მიუგო დიასახლისმა: — კარგი განცხადება ყოველთვის კარგ ხალხს იზიდავს.

ამგვარად მხატვარმა რამდენიმე სიტყვა უთხრა დიასახლისს და გამოვიდა ოთახიდან, რომ კიბეზედ ასულიყო; მაგრამ, გადადგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, უცბად შეჩერდა: დაინახა, რომ კიბის ზემოდ ვიღაც საოცარი არსება იჯდა და საკვირველის სისწრაფით უსვამდა ფიცარზე სამხატვრო კალამს.

ეს იყო ჩვენი ნაცნობი პატარა ფრიდლი, რომელიც სახლიდან გამოქცეულიყო.

მის გვერდით იღო მკვდარი რუხი კატა. სწორედ ამნაირივე კატა იყო დახატული ახალ განცხადების ფიცარზე წითელ მამლის გვერდით და იქიდან ისე გამოიყურებოდა, თითქოს ცოცხალიაო.

ფრიდლი ახლა თავის საქმით ისე იყო გატაცებული, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ფრეიდენბერგს, რომელიც უკვე შუა კიბეზედ იდგა, და სრულიად აუჩქარებლად განაგრძობდა სურათზე ჩრდილის სწორებას.

— აქ რას შვრება, შე საძაგელო? — დაუყვირა ფრეიდენბერგმა თავის დაუპატიჟებელ თანაშემწეს.

— ციკუნთას ვხატავ; ახლავე მზად იქნება! — მიუგო ბავშვმა, რომელიც ისევ განაგრძობდა მუშაობას.

— ვინ მოგცა ნება, რომ ჩემი სამხატვრო კალმისათვის და საღებავებისათვის ხელი მოგეკიდნა, შე საძაგელო, შენა? — კიდევ უფრო ხმა მაღლა უყვიროდა მხატვარი.

— ნუ გამიჯავრდებით, ბატონო! — წარმოსთქვა ფრიდლიმ უკან მოუხედავად: — ციცუნია მომიკვდა... მე მიყვარს ციცუნია ხატვა.

— კი, მაგრამ რად გამიფუჭე ეს განცხადება, რომელსაც მე მთელი დილა მოვანდომე? — არ წყნარდებოდა გაფიცებული ფრეიდენბერგი

— აი, ციცუნიაც მზადაა! — მხიარულად წამოიძახა ფრიდლიმ და სამხატვრო კალამი თავის ადგილზე დადვა, თითქოს ფრეიდენბერგის სიტყვებს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევსო.

— დაგაგლეჯ მე შენ მაგ ყურებს, შე არამზადა, შენა! — ჰყვიროდა მხატვარი და მზად იყო თავისი მუქარა იმ წამშივე შეესრულებინა; მაგრამ უცბად მისი თვალები დააშტერდა ფიკარზე დახატულ კატას, რომელსაც ამდენ ხანს ფრიდლის უმნო ტანი ჰფარავდა. ჩვენმა მხატვარმა გაკვირვებით უნებურად პირი დააღო და ხელები გაშალა.

— ურიგო არაა!.. სწორედ არაა ურიგო! სთქვა თავისთვის: კატის მოხაზულება სრულიად სწორია; საღებავებიც ჩინებულადაა შეხამებული; ეტყობა ამ ბაღს უეჭველი ნიჭი უნდა ჰქონდეს ხატვისა!

ფრეიდენბერგი იდგა შუა კიბეზე, ხელებს აქნევდა და ყველა ამას ისე ამბობდა, თითქოს სიზმარში ყოფილიყოს. მხოლოდ ახლა დააკვირდა ისევ ზევით მჯდომს ფრიდლის და მაშინვე იცნო ის ბავშვი, რომლის შესახებ მეტრაქტირე დედაკაცის ვაჟი ლაპარაკობდა სადილს წინად. რამდენადაც მეტად უკვირდებოდა დახატულ კატას, იმდენად უფრო რწმუნდებოდა, რომ ბავშვი უეჭველის ნიჭის პატრონი იყო.

— სად გისწავლია კატების ასე კარგად ხატვა? — ჰკითხა ახლა ალერსით.

— მამა ჩემ პესტალოცთან, — წყნარად მიუგო ბავშვმა.

— მაშ, შენ „ახალ ეზოში“ გიცხოვრია და იქიდან გამოქცეულხარ, არა? — ჰკითხა ფრეიდენბერგმა.

თანხმობის ნიშნად, ფრიდლიმ თავი დაუქნია.

— მერე რად გამოიქვეცი იქიდან, ფრიდლი? — კიდევ ჰკითხა მხატვარმა, რომელიც სცდილობდა, რაც შეიძლებოდა, უფრო ალერსიანად მოჰქცეოდა.

თავის სახელი რომ გაიგონა, ფრიდლიმ გაიღიმა; ეტყობოდა, ძლიერ ესიამოვნა. ამ წამიდან ისე დაუწყო ყურება ფრეიდენბერგს, როგორც თავის კარგ ნაცნობს და სრულიად დამშვიდებით ელაპარაკებოდა.

— ციცუნია მომიკვდა... სთქვა ბავშვმა: — ბოროტმა რუდლიმ ქვით მომიკლა, მე ხელზე უკბინე რუდლის და სისხლი გამოვადინე, ამისთვის ჩემი დასჯა უნდოდათ, მაგრამ გამოვიქვეცი... — ამბობდა ფრიდლი და თან თავის მკვდარ კატას დასჩერებოდა.

ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ წინადადებებიდან ფრეიდენბერგი ადვილად მიხვდა, რომ ბავშვი პესტალოცის სკოლიდან იყო გამოქცეული სასჯელის თავიდან ასაცილებლად. მით უფრო ადვილი მისახვედრი იყო ეს, რომ თვითონ ფრიდლიმ ამის შესახებ შეკითხვის დროს თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. და აი, ფრეიდენბერგს მაშინვე თავში აზრმა გაუელვა, რომ ბავშვი ისევ სკოლაში წაეყვანა.

— რადგან ხატვის ასეთი ნიჭი აქვს, — ჰფიქრობდა ფრეიდენბერგი, ეს ბავშვი არამც თუ ტვირთად არ დამაწვება, პირიქით — ოდესმე დიდ-სარგებლობის მოტანაც შეეძლება.

ფრეიდენბერგი ამ აზრს დაადგა და ბავშვს კიდევ გამოელაპარაკა:

— ფრიდლი! ძლიერ გიყვარს ხატვა? — ჰკითხა ფრიდლის და მეგობრულად გაუღიმა.

— დიად, დიად! — სიჩქარითა და მხიარულად მიუგო ბავშვმა: — მიყვარს კატების ხატვა, სულ მარტო კატების ხატვა, ყოველგვარ კატებისა.

— მერმე არ გინდა, ჩემგან ისწავლო ამ სხვა-და-სხვა კა-



ტებისა და მათის კნუტების ხატვა და საცხოვრებლად...
თან დარჩე? — განაგრძობდა ფრეიდენბერგი.

— კი მინდა... მხოლოდ ციკუნიაც თან უნდა წამოვიყვანო,— გადაწყვეტით სთქვა ფრიდლიმ და კატა ანიშნა.

— აბა, ეგ რად გინდა? ეს კატა ხომ მკვდარია! — უთხრა მხატვარმა. ამ სიტყვების გაგონებაზე ფრიდლის სახე უეცრად მოეღუშა.

— მე ციკუნია მიყვარს... ციკუნიაც თან წავიყვანოთ!.. მწუხარებით წარმოსთქვა.

— მაშ, კარგი, კარგი! ბერნში წავიყვანოთ, სადაც მე ვცხოვრობ! — დაეთანხმა მხატვარი, რომელსაც ეშინოდა, უარის თქმით საქმე მთლად არ წაეხდინა.

ფრეიდენბერგი რომ ფრიდლის ელაპარაკებოდა, ამ დროს ტრაქტირის კარიდან გამოიხედა დიასახლისმა, რომელსაც სურდა დამტკბარიყო მშვენიერ მამლის ცქერით, მაგრამ ერთბაშად გაფითრდა, მამლის გვერდით რომ ფიცარზე დახატული რუხი კატა დანახა.

— უი, ღმერთო-კი მომკალი! ეს რა გიქნიათ, ბატონო ფრეიდენბერგ? — წამოიყვირა გაჯავრებით: — ასე რად გამიფუქეთ განცხადების ფიცარი?

— ე-ეჰ, კარგი, თუ ღმერთი გწამთ, ნუ ჯავრობთ და ასე ნუ ჰყვირით, ბატონო დიასახლისო, — წყნარად უთხრა მხატვარმა: — რადგან ერთი რომ — კატა, მე-კი არა, ამ ბავშვმა დახატა, რომლის სასტიკად დასჯა სრულიად შეუძლებელია, როგორც სულელისა; მასთან არც ისეთი დიდი უბედურება რამ მომხდარა: შეხედეთ, ჯერ საღებავები კარგად კიდევ არ გამშრალა და სულ ადვილია მათი ჩამორეცხვა და ამ ადგილის ხელახლად შესწორება; ასე რომ — ნახევარ საათს შემდეგ, ჩვენ ისეთივე განცხადება გვექნება, როგორც გვექონდა.

— მაშ, კიდევ კარგი, თუ ასე ადვილად შეიძლება განცხადების შესწორება, — სთქვა ცოტათი დამწვიდებულმა დია-



სახლისმა:—მაგრამ ნუთუ კიბეზე რომ ზის, ეგ ის ბავშვია, რომლის შესახებაც სადილზედ ვილი გველაპარაკებოდა?—სთქვა და ზევით აიხედა.

— დიად, დიად, ეგ სწორედ ის ბავშვია და მკვდარი კატაც თანა ჰყავს, — დაემოწმა ფრეიდენბერგი.

— მემრე ამ საძაგელმა თხუზნიამ როგორ გაჰბედა... არა როგორ გაჰბედა-მეთქი ჩემის განცხადების გაფუჭება?—კიდევ გაჯავრდა დიასახლისი.

— დამშვიდდით, ქალბატონო, — გააწყვეტინა მხატვარმა:— გამოიჩინეთ გულკეთილობა და შეიბრალებთ საცოდავი ბავშვი: ისეთი შესაბრალისი, ისეთი საწყალი სახე აქვს, რომ მის დანახვაზე სწორედ გული მიკვდება. მე ცოტა რამ კიდევ მოვიფიქრე ამ საბრალო ბავშვის სასარგებლოდ.

— ბავშვის სასარგებლოდ მოიფიქრეთ! — გაუკვირდა მეტრაქტირე ქალს.

დიად, დიად, დიასახლისო: სწორედ ბავშვის სასარგებლოდ! — სთქვა გაიძვერა ფრეიდენბერგმა ძალდატანებულის გულკეთილობით, რითაც ის, საზოგადოდ, არ იყო განთქმული. — ეგ ბავშვი, ეტყობა, სულ უპატრონოა და გზა-დაზნეულ ცხვარივით დაეხეტება; არა აქვს არც თავშესაფარი და არც ლუკმა პური. მომავალში უთუოდ კიდევ უარესი დღე მოელის და, იქნება, შიმშილითაც მოკვდეს. ყველა ეს რომ წარმოვიდგინე, გადავწყვიტე სახლში წავიყვანო ეს უბედური ბავშვი და მამის მაგივრობა გაუწიო.

— მართლა, ბატონო, ფრეიდენბერგ?! — გაკვირვებით წამოიძახა დიასახლისმა: — სიმართლე მოგახსენოთ, სწორედ არ მეგონა, თუ ასეთი გულკეთილი და შემბრალებ ადამიანი ბრძანდებოდათ! სრულიად უცხო კაცის შვილი მიგყავთ საპატრონოდ! უფალმა დაგაჯიჯდოვოთ ასეთ კეთილ საქმისათვის.

— არა, დიასახლისო! მე ამას სრულიადაც დაჯილდოვებისათვის არა ვკისრულობ, — სთქვა მხატვარმა: — არამედ მხო-

ლოდ მისთვის, რომ არ შემძლია გულგრილად როდესაც კაცი ამ ბავშვივით იტანჯება.

— სწორედ მეც შემეცოდა, როდესაც უფრო ყურადღებით დავაკვირდი ამ საბრალოს, — სთქვა დიასახლისმა: — იცი, რა უნდა მოგახსენოთ, ბატონო ფრეიდენბერგ: მე მზადა ვარ მივცე ათიოდე ფრანკი *) და ცოტაოდენი ვილის გამონაცვალის ტანისამოსიც, ოღონდ ეს წყეული კატა-კი წაშალოს განცხადების ფიცარზე.

— ვაშა, ვაშა, დიასახლისო! — უცბად წამოიძახა ფრეიდენბერგმა: — მე ხომ ვიცოდი, თქვენ რომ გულმოწყალები იყავით და ამ საცოდავ ბავშვს ხელცარიელს არ გაუშვებდით.

ამ ლაპარაკს შემდეგ, ორი საათი გავიდა; მხატვარი ფრეიდენბერგი გამოეთხოვა „წითელ მამლის“ პატრონს და ბერნის გზას გაუდგა. მას თან ახლდა ფრიდლი, რომელსაც ილღიაში მკვდარი კატა ჰქონდა ამოჩრილი, ზურგზე-კი ბოლჩა მოეკიდნა, რომელშიაც ვილის გამონაცვალის ეწყო.

ეტყობოდა, ფრიდლი ახლა ძლიერ კმაყოფილი იყო: მხიარულად უყურებდა თავის მამის მაგიერს და სრულიად ბედნიერად სთვლიდა თავს, რომ საკმაოდ სვა და სჭამა კეთილ დიასახლისთან, რომელსაც არ დავიწყებია მიეცა მისთვის შეპირებული ათფრანკიანიც.

მეორე დღეს ჩვენი მგზავრები მშვიდობით მივიდნენ ბერნს, სადაც ფრეიდენბერგის სამშობლო და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო.

დ. ავალიანი.

(შემდეგი იქნება).

*) ათფრანკიანი უდრის დაახლოვებით სამ მანეთს.



გრიგოლ კავთაძე-ქე ტატიშვილი.

გარსულ ივლისში გარდაიცვალა ცნობილი, ფრიად დიდი მშრომელი და მოღვაწე გრიგოლ ტატიშვილი. დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულ გრიგოლს ქართველ ხალხის და განსაკუთრებით მოზარდ თაობის წინაშე. ვისაც კი გადაუვლებია თვალი ქართულ დასურათებულ წიგნებისა და ჟურნალებისათვის, „დედა ენიდან“ დაწყებული ჩვენ



ქართული
მწერთა
კავშირი

საყმაწვილო ჟურნალებამდის, უნდა იცოდეს, რომ საგან მრავალი სურათი არის გადმოღებული ჩვენს წიგნებში გრიგოლის მეოხებით. მისთვის სცემს პატივს იმის ხსოვნას ქართველი ხალხი გლოვობს იმის დაკარგვას. გრიგოლი არ იყო ისე მოხუცი, მაგრამ დიდმა ჯაფამ და შრომამ აღრე მოქანცა და დაასწავლა. რამდენიმე წელიწადია ლოგინად იყო ჩავარდნილი. სანამ დასწავლდებოდა, ისეთი მოძრავი, მუდამ ენერგიით სავსე და მხიარული იყო, რომ იმის დანახვაზედ ყოველთვის უნებურად თქვენც ენერგია და სიხარული გეუფლებოდათ. ერთნაირად საყვარელი იყო დიდისა და პატარასათვის. ერთნაირად სასარგებლო და ძვირფასი ყველასათვის, ვისაც უყვარს და სასარგებლოდ მიაჩნია მშობლიური მხატვრობა, მშობლიურ ლიტერატურის დასურათება.


გრიგოლი იყო ღარიბის დედ-მამის შვილი. მამამ ვერ შესძლო განათლება მიეცა მისთვის, გამოიყვანა მეორე კლასიდან ცამეტის წლის გრიგოლი. ქ. გორიდან თბილისს ჩამოიყვანა და ვაჟარს მიაბარა. დიდი ხანი არ დარჩენილა ვაჟართან გრიგოლი და საკუთარი პატარა სავაქრო გამართა, მაგრამ იმის სწავლის და ცნობის მოყვარულ ცოცხალ ბუნებას რასაკვირველია ვერ აკმაყოფილებდა ასეთი მოღვაწეობა. სწორედ იმ დროს გაიცნო ქსილოგრაფი (ხეზე სურათის ამომკრელი) იტალიელები და იმათგან შეისწავლა ქსილოგრაფია. ისე გაიტაცა ამ ხელოვნებამ, რომ შემდეგ, სანამ ძალ-ღონე შესწევდა, აღარ უღალატნია მისთვის. გრიგოლი იყო პირველი ქართველი ქსილოგრაფი და ამიტომაც იმას ხვდა წილად ისეთის მშვენიერის წიგნისათვის, როგორც გიორგი ქართველიშვილის გამოცემული „ვეფხვის ტყაოსანი“, სათაურის ასოების და მოსართავ ჩუქურთმების გადმოღება-გაკეთება. ამ ჩუქურთმების ქართულ ხასიათის გასაცნობად დაიარა გრიგოლმა საქართველოს მრავალი კუთხე და გადმოიღო ძველ მონასტრის ტაძრებიდან. მანვე დაასურათა „შაღვას თავგადა-

სავალი“, „ცვარი“, „ოქროს თავთავი“, „პირუტყვების აზბავი“ და სხვამ რავალი. ჩვენს ჟურნალ „ნაკადულშიაც“ ბევრი იმისი გადმოღებული სურათები, ანბანი და ჩუქურთმებიც.

ვინც ჩაუკვირდება გრიგოლის ცხოვრებას, ნათლად დაინახავს, თუ რა შეუძლია ადამიანის ნიჭსა და ენერგიას. უსწავლელმა გრიგოლმა ისეთი და იმდენი სარგებლობა მოუტანა ქართველ საზოგადოებას, რომ ყველასთვის მისაბაძი უნდა იყოს იმისი მუყაითობა და მხნეობა. ყველა ჩვენგანიც იმას უნდა ეცადოს, რომ თავისი ნიჭი გრიგოლივით ხალხის საკეთილ-დღეოდ და სასარგებლოდ გამოიყენოს.

6. 6.





უმავეთულო ტელეგრაფი.

(თარგმანი)



მ ორი-სამის წლის წინად ინგლისელების ორი გემი „რესპუბლიკა“ და „ფლორიდა“ დაეჯახნენ ერთმანეთს. ეს იყო ატლანტის ოკეანეში. ორივე გემი დაზიანდა და, რადგან „რესპუბლიკა“ იძირებოდა, ხალხი გადაიყვანეს „ფლორიდაზე.“ ამ გემსაც მოელოდა დაღუპვა, რადგან ზედ ბევრი ხალხი შეგროვდა. შველა არსაიდან სჩანდა: გარშემო ოკეანე და ხშირი ნისლი იყო. როგორ შეეტყობინებინათ ვისთვისმე თავის გაჭირვების ამბავი?

გემების უბედურება მალე შეიტყეს ამერიკელებმა და ზოგიერთმა უმავეთულო ტელეგრაფიანმა გემებმაც. გამოეშურნენ საშველად და, ბევრის ძებნის შემდეგ (რადგან ნისლი უშლიდა), ერთმა მათგანმა — „ბალტიკამ“ იპოვა „რესპუბლიკა,“ გადასხა ხალხი და გადაარჩინა რამდენიმე ასი სული.

თურმე „რესპუბლიკაზე“ ჰქონოდათ უმავეთულო ტელეგრაფის მოსაწყობი და მისი გამგე ბ-ნი ვინსი, თუმცა მასაც და მის გარშემო ყველა სხვასაც აუცილებელი სიკვდილი ელოდა, მაინც განუწყვეტილად იძლეოდა ყოველ მხრივ საშველნიშნებს. ამიტომ, გაიგეს თუ არა „ბალტიკაზე“ „რესპუბლიკის“ უბედურების ამბავი, მსწრაფლ გამოეშურნენ მის საშველად.



ერთის შეხედვით ძალიან გასაკვირველია, როგორ შეიძლება, კაცი შუა ოკეანეში იყოს და დეპეშას ჰგზავნიდეს ხმელეთად?

თუ გავარჩევთ უმავეთლო ტელეგრაფის მოწყობილობას, ცხადად დავინახავთ, რომ აქ გასაკვირველი არაფერია, და ყველაფერი აქ სადა და მარტივია.


რამდენად მარტივია ეს მანქანა, სჩანს თუნდ მით, რომ პირველად ასეთი საოცარი რამ მოიგონა ოცის წლის ჯაბუკმა მარკონიმ. მაშასადამე, არც ისეთი სწავლული იყო, რომ სცოდნოდა დაწვრილებით მეცნიერება, რადგან ამისთვის დასჭირდებოდა ბევრი დრო.

უმავეთლო ტელეგრაფის მოგონება დამყარებულია მთლად ელექტრონის თვისებასა და მოქმედებაზე; ამიტომ უნდა გავიცნოთ, რამდენადაც შესაძლოა, რა კანონებს ექვემდებარება ელექტრონი.

პირველად რომ ელექტრონი აღმოაჩინეს, სწავლულებს ეგონათ, იგი სიმძიმეს მოკლებული თხელადია. იმათი ყურადღება უფრო იმ გარემოებამ მიიქცია, რომ ზოგიერთ გარემოებაში შესაძლებელი ვახდა ამ თხელადის შეკრება სხეულების ზედა პირსა. ელექტრონი ყველას შეუძლიან ადვილად განიცადოს, თუ გადუსვამს კატას ხელს, დივარცხნის თავს ძვლის ან გიშრის სავარცხლით, ან კიდევ გაჰხეხს ბეწვიან ტყავით გაფისულ ფიცარს. ელექტრონს, რომელიც ასე იბადება, დაარქვეს სტატიკური. მალე იპოვეს სხვა ელექტრონიც — დინამიკური.

დინამიკურ ელექტრონის გაჩენა შეიძლება ასე: ავილოთ შუშა გოგირდ გახსნილ სიმყავით, ჩავუშვათ შიგ ლითონის ფირფიტები ერთი სპილენძისა, მეორე — თითბრისა. თვითოეულ ფირფიტაზე იკრიბება ელექტრონი, მაგრამ ერთზე ჩნდება „დადებითი“ ელექტრონი, მეორეზე — „უკუქცევეთი“. „დადებითს“ და „უკუქცევეთს“ — ელექტრონს აქვს არა-ჩვეულებ-

რივი თვისება: სულ მუდამ მიისწრაფიან ერთმანეთისაკენ, რათა შეილივნენ. თუ ფირფიტებზე მივამაგრებთ მავთულებს, ეს ორ გვარი ელექტრონი მსწრაფლ გადარბის მავთულებზე, მი-



მდინარებს და აჩენს იმას, რასაც ფიზიკაში უწოდებენ სახელს „ელექტროს დენა.“ თუ შუშაშივე მავთულები შევახეთ ერთი მეორეს, ორ გვარი ელექტრონი შეილევთ, ე. ი. გაუქმდება, განქარდება. რადგან ელექტრონი დიდის სისწრაფით ვრცელდება შემთვისებელზედ, ე. ი. იმ ნივთიერებაზე, რომელიც არ უშლის მის დენას, ამიტომ მის ამგვარ თვისებაზე დაამყარეს მოწყობა ჩვეულებრივის ტელეგრაფისა.


მავთულ გადაბმ. ფირფიტ.

მეტის ელექტრონის მისაღებად შეაერთებენ ხოლმე მავთულით რამდენსამე გოგირდ გახსნილ თხელადიანს შუშას და ასრე მიიღებენ აგრედ წოდებულ ელექტრონის ბატარეიას.

დინამიურ ელექტრონის მიღება შეიძლება სხვაფორივაც, არა პარტო სპილენძის, თითბრის და მარილის სიმეჯვის შემწეობით.

ჩვეულებრივ ტელეგრაფს ასე მოაწყობენ ხოლმე: ორ სადგურს აერთებენ ამდენივე მავთულებით. თითოეულ სადგურზე მოწყობილია გაღვანიური ბატარეია, ე. ი. რივი შუშებისა ლითონების ფირფიტებით, რომელნიც ჩაყენებულია დამამეჯავებელ თხელადში. ერთი მავთულთაგანი ერთვის დადებით ელექტრონის ბატარეიას, მეორე - უკუქცევითს. როცა პირველ სადგურიდან გაშვებულია მავთულზე ელექტრონი, მაშინ იგი გარბის მეორე სადგურზე: ორივე სხვა და სხვა გვარი ელექტრონი, რომლებიც მიმდინარებდნენ პირველ და მეორე მავთულებზე, სცდილობენ შეერთდნენ, და თუ იმ ალაგას, სადაც ერთდებიან, დავამაგრებთ გრძელ ქალაღს, ისე რომ შეიძლებოდეს

მისი ამოცურება, და აგრედვე ფანქარს, უკანასკნელში და
 აქერს ქალაღდს და, თუ ელექტრონის დენა განვაგრძეთ, იგი
 გაიყვანს ხაზს ქალაღდზე; თუ უტბად შევიჩრეთ, დასახავს
 წერტილს. ტელეგრაფის ანბანი სწორედ ამ ხაზებისა და წერ-
 ტილებისაგან არის შედგენილი. ამ ანბანის შემწეობით გახდა



ელექტრონის ბატარეა.

შესაძლებელი სულ მცირე დროში (რადგან ელექტრონი მიმ-
 დინარებს დიდის სისწრაფით) გადაცემა ამბისა ერთის სადგუ-
 რიდან მეორეზე, რომლებიც ზოგჯერ ძალიან მოშორებით
 არიან ხოლმე ერთმანეთზე.

ასეთი ტელეგრაფი რომ მოაწყეს, დაიწყეს ფიქრი მის
 გაუმჯობესებისათვის. ყველაზედ უწინ ორის მავთულის მაგიერ
 დაიწყეს ხმარება ერთისა, მეორეს მაგივრობას ასრულებდა
 დედა-მიწა, რადგან იგი მშვენიერი შემთვისებელია ელექტრო-
 ნისა. მერე დაიწყეს ფიქრი იმაზე თუ როგორ მოეცილები-
 ნათ მეორე მავთულიც, რადგან მისი გაყვანა დიდს მანძილზე
 ძალიან ძვირი ჯდება; ადვილიც არის მისი გაწყვეტა და მით
 ტელეგრაფის გაფუჭება. ამას გარდა, ძალიან ძნელია მავთუ-
 ლის გაკიშვა განიერ მდინარეზე, მით უმეტეს - ზღვასა და ოკე-
 ანზე.

საქმის მკოდნენი გამუღმებით მუშაობდნენ დინამიურ
 ელექტრონის შესასწავლად. ეს ელექტრონი კი გადადის მარ-
 ტო შემთვისებლების შემწეობით, ამიტომ სწავლულებმა მია-
 ქციეს ყურადღება იმას, იქნებ ელექტრონი გადავიდეს ჰაერ-
 რით მავთულიდან მავთულზეო. მალე შეამჩნიეს, რომ ელექ-

ტრონი ჰაერში კი ვერ გადადის, მაგრამ მიმდინარე ერთ-ერთ თულზედ მოქმედებს მეორეზე, მასთან გეზათ გაყვანილზე. ამ მოვლენას დაარქვეს მოქმედება ელექტროს დენისა (ინდუქცია).

მიჰყვეს ხელი ცდას და აღმოჩნდა: თუ ელექტრონის დენა მიდის ერთ მავთულზედ და შორი ახლო ამ მავთულისა, ან, როგორც ამბობენ — მატარებელ-გამყვანლისა, მოვათავენი მეორე მავთული, რომელსაც არ გადავეციოთ ელექტრონის დენა, იგი მასზედაც იბადება. ძალა ამ ელექტრონის დენისა დამოკიდებულია მანძილზე მავთულთ შორის; დიდ მანძილზე მგრძობიერ იარაღსაც კი არ შეუძლიან აღმოაჩინოს ელექტრონის დენა მეორე მავთულზე. ელექტრონი გაიფანტა ჰაერში.

დინამიურ ელექტრონის ამ თვისებით, რომელიც იწვევს ელექტროს დენას ახლო მდებარე მავთულზე, ისარგებლა ინგლისში სწავლულმა მორზმა. 1842 წელს მან სცადა გადაეცა ნიშნები მდინარე სასკავანაზე. მდინარის ორივე ნაპირის სიგრძეზე მან გასჭიმა მავთულები სიგრძით სამჯერ მეტი მდინარის სიგანისა. ერთი მავთულთაგანი გაყვანილი იყო ბატარეიდან, რომელსაც ჰქონდა მოწყობილი გადამცემი მოსართავი, მეორე — ბატარეიდან, რომელსაც ჰქონდა მოწყობილი მისაღები მოსართავი. ორივე მავთული დათავებული იყო სპილენძის ფირფიტებით, წყალში ჩაშვებულით. ცდას კარგი შედეგი მოჰყვა.

შემდეგ შოტლანდიელმა ლიდსეიმ მოაწყო ამისთანავე მოსართავი და იძლეოდა ნიშნებს უმავთულოდ მდინარეს პირად ატეხილ ტყის ერთი მხრიდან მეორეზე. ეს შოტლანდიელი 1859 წელს ამტკიცებდა, თუ შემწვობას მომცემენ, მოვმართავ წყალში ჩასაშვებად უდიდეს გალვანიურ ბატარეას $\frac{190}{43}$ ოთხკუთხ. საყენზე და გავაკეთებ ფირფიტებს, რომლის ზედა-პირის უდრის სიგრძე $\frac{3000}{49}$ ს ოთხკუთხ საყ. და მით დავამყარებ უმავთულო ტელეგრაფს ინგლის-ამერიკის შუაო. მისმა მოსაზრებამ არ გამოიწვია თანაგრძნობა და საქმე შეუსრულებელი დარჩა.

1885 წელს ინგლისელმა ინჟინერმა პრისმა დასდგა ნიუ-კესტლთან ორი მავთულის ოთხკუთხი, თვითოეულ მხარის სიგრძე იყო 410 ალაბამდე. ეს ოთხკუთხები დასდგა 190 საე. მანძილზე ერთი მეორისაგან. ელექტრონის დენა, გადაცემული ერთ ოთხკუთხისთვის აღმოჩნდა მეორეზედაც. პრისმა თან და თან უფრო და უფრო დააშორა ოთხკუთხები ერთმანეთს; 1886 წელს დააშორა ერთი მეორეს შვიდის ვერსით; 1892 წელს დაამყარა ამ გვარ ღონის ძიებით პირდაპირის ტელეგრაფის მიმოსვლა ფლემპოლმსა, რომელიც იყო სიმაგრე ბრისტოლის არხის კუნძულებზე, და ლავერნაკს შუა, უელსის ნაპირზე. აქ მანძილი იყო ხუთი ვერსი.

ამით გათავდა ინგლისელების ცდა-კვლევა. თუმცა ასე ეცადნენ, მაინც ვერ მოახერხეს ამბის გადაცემა უფრო დიდ მანძილზე.

მაგრამ ამავე დროს მუშაობდა ახალგაზრდა იტალიელი მარკონი. ის ხელმძღვანელობდა სულ სხვა მოსაზრებით.

იმ დრომდე მეცნიერებაში ბევრი რამ გამოიკვლიეს ელექტრონისა, სინათლისა და სითბოს თვისებისა. ელექტრონი, სინათლე და სითბო ისეთი ძალაა, რომელიც მოქმედებს ბუნებაში. სწავლულები ელექტრონის სინათლეს სითბოს ძალას ეძახიან ანუ „ენერგიას“: ელექტრონის ენერგია, ენერგია სინათლისა, ენერგია სითბოსი. ასაღსნელად იმისა, თუ როგორ ვრცელდება სინათლე, სითბო და ელექტრონი, სწავლულები იმ აზრს ადგანან, რომ მთელი მსოფლიო გავსებულია ერთნაირ წმინდა, სიმძიმე მოკლებულ, ნივთიერებით, რომელსაც უწოდეს სახელად — ეთერი. იგი ავსებს ყოველსავეს სუფევს მზის, ვარსკვლავების, მიწის და ჰაერის ნაწილებს შუა, აგრედვე სულ უმნიშვნელო პატარა ნაწილებ შორის, რომლებდაც შეგვიძლიან მოსაზრებით დავყოთ ყოველი მკვრივი და თხელი სხეული. ეს ეთერი ავსებს ყოველ საგანს, როგორც წყალი ღრუბელს, რაგინდ მკვრივი და მტკიცე იყოს.




ახლა წარმოვიდგინოთ გუბე და გადავისროლოთ შიგ
ქვა. დავინახავთ, რომ იმ ალავას, საცა წყალს დაეცემა ქვა,
ყოველ მხრივ ტალღები გაჩნდება: ჯერ ამოვლდება, მერე და-
დაბლდება და თან და თან გაჰქრება. თუნდ ბოთლის საცო-
ბი ჩავაგდოთ წყალში, მაინც ტალღებს წარმოვშობს, თუმცა
სუსტს და მცირეს. როცა ტალღა იწევა საცობამდე, გა-
დასცემს თავის მოძრაობას; საცობი ჯერ ოდნავ დაიძირება,
მერე ამოტივტივდება. დიდი ქვა თუ ჩავაგდეთ წყალში,
დიდი ტალღები ამოვარდება, მეტ მანძილზედ გავრცელდება.

ეთერიც ამ გვარადვე ჰკრთის; თავის კრთოლვით ავსებს
ყველა კუთხესა და მხარესა.

გუბეში ტალღები ვრცელდება მხოლოდ წყლის ზედა-
პირზე; ეთერის ტალღები კი იფანტება, როგორც ვსთქვით,
ყოველ მხრივ.

დ. ჯაჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).





ზღვის სიმდიდრე.

(დასასრული)

8


ღვიდან მარჯნის ამოღება ძნელი საქმეა. წითელი მარჯანი არის ხმელთა შუა ზღვაში, 40 100 საეენის სიღრმეზედ. უფრო ბევრია მარჯანი აფრიკის ნაპირებად. მარჯნის ხე მიმგვრებულია ზღვაში მეტ ნაწილად რომელსამე კლდის ძირში. ამოაქვთ მარჯანი იქიდან ერთნაირ იარაღით.

ორ სქელ და მაგარ ხის ფიცარს ერთმანეთს მიაკრავენ ჯვარედინად. ამ ჯვარს გამოაბამენ მაგარ და გრძელ თოკს. ფიცრებს მიაკრავენ მძიმე ქვას, ან რკინას და ზედ ჩამოჰკიდებენ მსხვილ ბადეს. 4—12 კაცამდის მჭერავეები დიდის ნავით გადიან ზღვაში. ნაპირებიდან რამდენსამე ვერსის მოშორებით, იქ სადაც მარჯანი ეგულებათ, და ვეებერთელა ხის



ქართული
ენციკლოპედია

ჯვარს ნავიდან ზღვის ძირში ჩაუშვებენ. მერე ნავიდან იქით დასცურავენ და ჯვარს ზღვის ძირ-ძირ მიათრევენ. ხის ჯვარი მარჯნის შტოებს წამოედება და ამტვრევს, ნამტვრევები იხლართება ბადეში—მერე ჯვარი დატვრილ შტოებით ზე-




მარჯნის კერა ხმელთა შუა ზღვაში

ვით ნავში აჰოაქვთ. დიდ გემებზედ-კი უზარმაზარი ჯვრები აქვთ და იმათი ზღვაში ჩაშვება და ამოღება უჭახრაკოდ არ



შეიძლება. ზღვის ძირი, სადაც მარჯანი იმყოფება, მასწორაა, კლდოვანი, თანაც მარჯანი გადმოწოლილ კლდის ქვეშ არის, ამიტომ ჯვრის წვერები უნდა გამოედოს კლდის ქვეშ და იქიდან გამოჰგლიჯოს მარჯანი; ხშირად ჯვარი თვით კლდეს მოედება; მაშინ დიდი ჰაპან-წყვეტა და ოფლის-ღვრა დასჭირდებათ ხოლმე საწყალ მენავეებს, სანამ გამოაცლიან ჯვარს იმ ალაგს. ამ დროს ზეჰოდამ ცხელი ზაფხულის მზე შეუშხავს მუშებს. სჩანს, ადვილი არ ყოფილა იმ მძივების მოპოვება, რომლითაც მანდილოსნები ყელ-ყურს იმშვენებენ. მარჯნის ჰერას უფრო იტალიელი მეთევზეები მისდევენ. ყოველ წელიწადს იტალიიდან მიდის მარჯნის საჭერად 4000 მეთევზემდის 500 ნავით. ესენი წელიწადში იჭერენ მარჯანს, ღირებულს 2 მილიონ მანეთამდის. მაგრამ ამოდენა ფული რომ აიღოს კაცმა, ძალიან ბევრი მარჯანი უნდა დაიჭიროს. ხშირად, ზღვიდან ამოღებული მარჯანი დახრულია სხვა-დასხვა ცხოველებისაგან. ასეთი მარჯანი არ ფასობს ძვირად: სულ 80 კაპ.—3 მან. გირვანქა. ასეთი ცუდის ხარისხის მარჯანი მეტი მოდის, ვიდრე კარგისა. კარგის ხარისხის მარჯანი ღირს 7—12 მანეთამდის გირვანქა და საუკეთესო ხარისხისა, ძალიან მსხვილი და ვარდის ფერისა— ღირს 80 მან. გირვანქა. მრეწველები ჰყდიან მარჯანს იტალიის და საფრანგეთის ქალაქებში, სადაც დამუშავება იციან. აქ მარჯანს ჩაჰყრიან დიდ ბოჩკებში, ბოჩკებს ატრიალებენ და შიგ მიუშვებენ წყალს, რომელიც ბოჩკის ნაჩვრეტებში გამოდის. ამ ნაირად გარეცხილ მარჯანს დაანაწილებენ ხარისხად. ზოგიერთ იაფფასიან ნაჭრებს იქვე ხვრეტავენ, რომ შეიძლებოდეს ძაფზე ასხმა. ამისათვის მარჯნის ნაჭერს მოაქცევენ ორ პატარა ფიცარს შუა, რომლებიც ბურღების შემწეობით უჭერენ ნაჭერს. მუშა ქალი გაჰხვრეტს მარჯანს, ამავე დროს მარჯანზედ გადმოდის წყალი განგებ ამისათვის გაკეთებულ ღარიდან. დახვრეტილ მარჯნის ნაჭრებს ასხმენ მავთულებზედ, მავთულებს დასკიმავენ ფიცრებზედ, მერე ოსტატი აიღებს



დიდ ნაქერ ქადა ქვას (პემზა) და ზემოდამ უსვამს, უხანგრეს მარჯნის ნაქრები მავთულებზედ ტრიალებენ, იხეხებიან და რვეალებიან. ზოგიერთ ნამტვრევებს ნემსებზედ აასხამენ და ლესავენ სალესავ ქვაზედ; გადალესვის შემდეგ, ისევ ბოქვაში ჩაჰყრიან რქის ნაფხვენებთან ერთად; ზედ წყალს დაასხამენ და ბოქვას ატრიალებენ. ამ ტრიალში მარჯნის მარცვლები პრიალდებიან. ბოლოს მიივებს ანაწილებენ ხარისხებად და ასხამენ ძაფებზედ.

რა არის ღრუბელი და როგორ მოულობენ.

ვიციტ ახლა, რომ ზღვაში ბევრი მშვენიერი და ძვირფასი განძია, მაგრამ იმავე ზღვაში არის ერთი სხვა განძიც, რომელიც შესახედავად სულ უბრალოა, უშნო, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან სასარგებლოა ადამიანისათვის. ეს გახლავთ ღრუბელი. ალბად გინახავთ ღრუბელი და იციტ, რისთვისაც ხმარობენ. გამშრალი ღრუბელი ცოტათი მომაგროა, მაგრამ ადვილად მოსახრელი და მკვრივია; შეიძლება ხელში მოკუმშოთ, მაგრამ კი არ გატყდება. თუ დაასველეთ წყალში, ქარბად იყვინთება და მაშინ კიდევ უფრო რბილი და ადვილად შესაკუმში გახდება. ბავშვების ნაზ სხეულის დასაბანად ძალიან კარგია ღრუბელი. ღარიბი ხალხი იბანს და ისუფთავებს ტანს ჭილის შემწეობით და არა ღრუბლით. ეს იმიტოს, რომ, თუმცა ღრუბელი იაფია, მაგრამ მაინც ჭილზედ ძვირია. ვისაც კი შეუძლია 20—30 კაპეიკი მისცეს ღრუბელში, ის ყოველთვის იხმარს ღრუბელს და არა ჭილს, მეტადრე ბავშვებისათვის. თუმცა ღარიბები არ ხმარობენ ღრუბელს, მაგრამ მაინც არ ჩაითვლება საფუფუნებელ-საკოხტაო საგნად, როგორც მარგალიტი ან მარჯანი.

რა არის ღრუბელი? გაგიკვირდებათ, როდესაც გაიგებთ, რომ ესეც ცხოველია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ცხოველის ნაწილია. ღრუბელი ჩონჩხია ცხოველისა ისევე, როგორც მავალითად,




წითელი მარჯანი—ჩონჩხია პოლიპებისა. მხოლოდ ღრუბელს შესდგება არა კირისაგან, როგორც მარჯანი, არამედ ისეთ ნივთიერებისაგან, რომელიც რქის ნივთიერებას მოგაგონებს. ცოცხალი ღრუბელი ისევე არ ემზავება ცხოველს, როგორც იმისი გამხმარი ჩონჩხი. კარგად დააცქერლით გამხმარ გასასყიდ ღრუბელს. შეამჩნევთ ბევრ წვრილ-წვრილ ნაჩვრეტებს. ნაჩვრეტები ერთმანეთზედ შეერთებულია მილებით და ამ მილებისაგან შესდგება მთელი ღრუბელი. ასეა აგებული რქის ჩონჩხი ღრუბელისა. ცოცხალი ღრუბელი განსხვავდება გამხმარისაგან მით, რომ იმის ყველა მილები გამოვსებულია რბილ და ლორწოიან სხეულით. როგორც ჰხედავთ, ღრუბლის სხეულის აგებულობა უფრო უბრალო და მარტივი ყოფილა, ვიდრე პოლიპისა. პოლიპს კიქის ფორმა აქვს, აქვს აგრედვე პირი, რვა საწერტელი; ღრუბელს კი არავითარი განკერძოებული ორგანო არა აქვს. რომ გასჭრათ ღრუბელი შუაზედ, ან რამდენსამე ნაწილად, თვითოეული ნაწილი იცხოვრებს თავისთვის. სწავლეულებმა დიდ ხანს ვერ გადასწყვიტეს, რა არის ღრუბელი, რად ჩასთვალონ—მცენარედ თუ ცხოველად. მაგრამ მერე შეისწავლეს ღრუბლის მდგომარეობა—სხეულის აგებულობა და დარწმუნდნენ, რომ ღრუბელი ცხოველია.

ღრუბელს არ შეუძლიან ერთი ალაგიდან მეორეზედ გადავიდეს, წევს ზღვის ძირში გაუნძრევლად, სადმე ქვაზედ ან კლდეზედ მიმაგრებული. ის სირბილედ, რომლითაც გამოვსებულია ღრუბლის მილები, მოცულია აქა-იქ პატარა ბუსუსებით; ეს ბუსუსები მუდამ მოძრაობენ: იხრებიან ხან წინ, ხან უკან და ამ ნაირად აღენენ წყალს მილებში, როგორც ნიჩბები. ამიტომ წყალი მუდამ შედის ღრუბლის მილებში პატარა ნაჩვრეტებიდან და, გაივლის რა ყველა მილში, ისევ გარედ გამოდის დიდ ნაჩვრეტებიდან.

წყალს თან შეაქვს ღრუბელში პატარა სხვა-და სხვა მასაზრდოებელი ნივთიერებანი. ლორწოიანი სხეული ღრუბლისა

ამ ნივთიერებათა შემწეობით საზრდოობს; ასე რომ, წყალს გარედ აღარ გამოაქვს ღრუბლიდან შეტანილი ნივთიერება. ღრუბლის ლორწო, სირბილე იზრდება, განივრდება და თან ეზრდება რქის ჩონჩხიც. შემდეგ ღრუბელში ჩნდება კვერცხები. კვერცხიდან გამოდის პატარა ჭია. გამოდის ღრუბლიდან და თავისუფლად დასკურავს წყალში. შემდეგ ეს ჭია დააჯდება, მიასკუბდება რომელსამე ქვას, მაგრად მიეკრობა



ცოცხალი ღრუბელი ზღვის ძირში

და აღარ ინძრევა; თან და-თანობით იზრდება და იქცევა ღრუბლად. როგორც ჰხედავთ, ღრუბელი საზრდოობს, იზრდება და მრავლდება ცხოველივით.

ღრუბლები სცხოვრობენ სხვა-და-სხვა ზღვაში, განსაკუთრებით-კი ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, მცირე-აზიის ნაპირებზე და საბერძნეთის კუნძულებზე შუა. იქ იჭერენ იმ ღრუბლებს, რომელთაც ჩვენ ვყიდულობთ. ღრუბლების ჭერას მისდევენ ბერძნები. ამიტომ გასასყიდ ღრუბელს ჩვეულებრივ ეძახიან ბერძნულ ღრუბელს. ღრუბელი სცხოვრობს ზღვის ძირში, ამიტომ მის დასაჭერად კაცი ჩადის იქ ისე, როგორც მარგალიტისათვის. დილით, მზის ამოსვლისას ოთხი მეთევზე ერთი თანაშემწეთი გადიან ზღვაში ნავით ღრუბლის

საქერად. ერთი მეთევზეთაგანი, სრულიად ტიტველს, ჯდეს ნავის წინა ნაწილში; იღებს ხელში დიდ, ფართე და თეთრ ქვას, თოკზედ გამოზმულს, თოკის მეორე ბოლო გამოზმულია ნავზედ. მჭერავს კისერზედ ჰკიდია ბადე; შეისუნთქავს რაც შეიძლება მეტ ჰაერს, გაიშვერს წინ ხელებს თეთრის ქვით და თავ-დაღმა ეშვება წყალში. თანაშემწე უშვებს თოკს და თვალ-ყურს ადევნებს მჭერავს. როცა ჩადის ზღვის ძირში, მჭერავი სკდილობს მოჰგლიჯოს, რაც შეიძლება მეტი ღრუბელი და იღებს ბადეში. როდესაც იგრძნობს, რომ წყალ ქვეშ გაჩერება მეტი აღარ შეუძლია, მაგრად მოსწევს თოკს და სხვა მეთევზეები სწრაფად ამოაქანებენ ზევით. აქ მჭერავი ეკიდება ნავს და მძიმედ სუნთქავს. პირიდან, ცხვირიდან და ყურებიდან გადმოსდის წყალი, ზოგჯერ სისხლიც. შემდეგ ეშვება წყალში მეორე მეთევზე და ასე რიგ-რიგად განაგრძობენ მეთევზეები თავიანთ მძიმე მუშაობას უსმელნი და უქმელნი თითქმის მთელი დღე, დილიდან ნაშუადღევს 2—3 საათამდე.

როცა გაათავებენ დღიურ სამუშაოს, მეთევზეები უსწორდებიან ქირით თანაშემწეს, აძლევენ დანაჭერის მეხუთედს ნავის ქირად, დანარჩენს თვითონ იყოფენ და ბრუნდებიან შინ. ადრიატიკის ზღვაში კი ღრუბელს სხვა ნაირად იჭერენ. იქ ამ საქმეს მისდევენ ზღვის ნაპირის მცხოვრებლები: სლავიანები— დაღმაციელები. დაღმაციელნი გადიან ზღვაში ღრუბლის საქერად თითო ნავით ორ-ორი კაცი. ერთი მენავეთაგანი ნელა მიაქანებს ნავს წინ ნაპირების გასწვრივ; მეორე სდგას ნავის წინა ნაწილში და გაფაციცებით იცქირება წყალში; ხელში უჭირავს გრძელი ჯოხი 3—7 საყნამდის. ჯოხის ბოლოზედ წამოგებულია რკინის ოთხთითა.

ცოცხალი ღრუბელი გარედან შავია და დაწყნარებულ ზღვაში კარგად მოსჩანს. შენიშნავს თუ არა ღრუბელს მჭერავი, მაშინვე თავის ოთხ-თითათი მოჰგლეჯს და ამოაქვს ზევით. თუ ზღვა ცოტათი მაინც დელავს, მაშინ ზღვის ძირი არა ჩანს და ღრუბელის დანახვაც შეუძლებელია. ასეთ შემთხვე-

ვაში მჭერავი აიღებს ხელში პატარა და ბრტყელ ქვას, რომელიც
ვლებს ზეთში, გაისვრის და გაასრიანებს წყალზედ. ზეთი



ღრუბლის ქერა ადრიატიკის ზღვაში.

წყალზედ გაენტობა, ამის გამო ღელვა იმ ალაგას შესწყდება,
მაშინ მჭერავს შეუძლიან თვალი მოჰკრას ღრუბელს და თა-
ვის ოთხთითა ჩაურკოს. ასეთის ღონისძიებით ღრუბელის ქერა



არ არის იმდენად ძნელი, მაგრამ ბევრი ღრუბელი ველი რჩება. წყლიდან ამოღებულ ღრუბელს დაბერტყავენ, დაზელავენ, გამოაცლიან ლორწოიან სირბილეს, დარჩება მარტო ჩონჩხი, რომელიც მიდის გასასყიდად.


გავიგეთ ახლა, სად შოულობენ ზოგიერთ ნივთებს, რომლებსაც დაატარებენ სხვა და-სხვა ქალაქებში გასასყიდად. ვინც არ იცის სად შოულობენ ამ ნივთებსა, იმას, შეიძლება, ფიქრადაც არ მოუვიდეს, რომ ღრუბელი, რომელსაც ხმარობს, ან მარჯნის მძივები, რომლებიც ყელს უმშვენებენ, — ოდესღაც იყვნენ ზღვის ძირში, რომ ადამიანები ჩადიოდნენ იქ იმათ ამოსაღებად. არ გაიფიქრებს ალბად იმასაც, რომ ეს ნივთები მოამზადეს 3 ტარა ზღვის ცხოველებმა და შეადგენდნენ იმათ სხეულის ნაწილს.


მაშ, ზღვა გვაძლევს არა მარტო თევზებს; ვეშაპის და ზღვის ძაღლების ქონს, ღრუბელს და სხვა, არამედ ძვირფასს და მშვენიერ სამკაულებს: მარგალიტს, მარჯანს და სადაფს. მაგრამ ადვილად არ უვარდება ხელში ადამიანს ზღვის სიმდიდრე. ბევრი შრომა და განსაცდელი უნდა გამოსცადოს ადამიანმა, რომ იშოვნოს ყველა ეს ძვირფასი ნივთი.

ზღვა მუქთად როდი იძლევა თავის საუნჯეს და სრულებით ადამი ნმსათვის არ ამზადებს ამ სიმდიდრეს. პატარა ლოფოროტიქინა ლორწოიანი ცხოველი ამზადებს სადაფს თავისთვის; ეს იმისი სახლია, სადაც თავს იფარავს მტრისაგან და მარგალიტში ეს პატარა ცხოველი ახვევს ქვის ნაფხვენს, რომელიც უცბად სხეულში შეერქო და აწუნებს. მარჯნის პოლიპები აშენებენ თავის წითელ მარჯნის ხეს თავისთვის, რომ იმათს ამ:ანაგობას თავშესაფარი ჰქონდეს. თვითეული ცხოველი ზრუნავს თავისათვის და ამზადებს ამ ძვირფას ნივთებს საკუთარ საჭიროებისათვის. მაგრამ ადამიანს უყვარს კეკლუცობა და მორთვა მშვენიერ მარგალიტებით, ლამაზ მარჯნის მძივებით; ან იკეთებს სხვა და-სხვა ნივთს ფერადის სადაფი-

სას. ამისათვის ადამიანები ჩადიან ზღვის ძირას და არაბრუნებულ ცხოველებს დამზადებულ მასალას. ისინი, ვინც ირთვებიან და კობტაობენ ამ ძვირფას სამკაულებით, რა თქმა უნდა, არ დასთანხმდებოდნენ ზღვაში ყურჭუმალეობას, მაგრამ ღარიბი ხალხი ძალა.უნებურად ეწევა ამ მძიმე შრომას, რომ ლუკმა პური შესჭამოს.

6. წუწუნავა





ბროლის ომი.

პატროკლოსი სთხოვს აქილევს ომში მონაწილეობა მიიღოს.



ილოსელ ნესტორის სიტყვებმა და ელ-
ლინთა მხედრობის გაჭირვებულმა მდგო-
მარეობამ მეტად დაალონა და საგონებელ-
ში ჩააგდო აქილევსის გულითადი მეგო-
ბარი. თვალთაგან ცრემლების ნაკადული
გადმოსჩქეფდა პატროკლოსს, როცა იგი
აქილევსის სამხედრო გემზედ აღიოდა.

აქილევსმა კარგად იცოდა თავის გულითად მეგობრის გუ-
ლის წუხილი, მაგრამ მაინც ხუმრობით შეეკითხა:

— ჩემო მეგობარო! რა გატირებს? მითხარი ყველაფერი,
ნურას დამიმალავ, ეგების რაიმე დახმარება აღმოგიჩინო და
შენი ესეთი უზომო მწუხარება შეგიმსუბუქო.

პატროკლოსმა მძიმედ ამოიოხრა და ცრემლების დაბა-
ღუპით უპასუხა თავის გულითად მეგობარს: — დიდებულო
გმირთა გმირო აქილევს! ნუ შერისხავ შენს გულითად მეგო-
ბარს, თუ ამ ჟამად ელლინთა მხედრობის გაჭირვება თა-
ვის საკუთარ დარდად და გაჭირვებად მიუმჩნევია! რათა სტი-
რიო, მეკითხები, ჩემო კეთილო და საყვარელო მეგობარო!

ჰმ! განა შესაძლებელია გულოგრილად უცქიროს კაცმა ელ-
 ლინთა ძღვეა-მოსილი მხედრობის ასე შეუბრალებლად განა-
 დგურებას! საუკეთესო მთავარ-სარდლები და მეომრები ზოგ-
 ნი გამოეთხოვენ წუთი-სოფელს და ზოგნი-კი მძიმედ და-
 ქრილნი, ძვალ-ცრემლიანი შეჰყურებენ თავიანთ მოძმეების
 უსახღვრო თავგანწირულებას, და დავროდომილ—დაავადმყოფე-
 ბულნი დახმარებას ვერ ახერხებენ. საშინელს, აუტანელს
 მდგომარეობას განიცდის ბრძოლის ველზედ გამოსული ელ-
 ლინთა მხედრობა! არსაიდან შევლა, არსაიდან დახმარება!
 თუმცა ეს ასეა, ელლინთა თავგანწირული მეომარი უნა-
 სკნელ სულის ამოსუნთქვამდის მტერს მამაცად ებრძვის თვი-
 თეულს მეომარს ნათლად აქვს შეგნებული, რომ ელლინთა
 მხედრობის ბრძოლის ველზედ დამარცხება ჩვენი საერთო სა-
 მშობლოს დამარცხებას, ჩვენის საერთო სამშობლოს დამცი-
 რებას, პატივის აყრას, მიწასთან გასწორებას მოასწავებს! დი-
 ალ, ეს თავისი სამღვთო მოვალეობა ნათლად შეგნებული აქვს
 და კიდევაც ამიტომ თავდავიწყებით იბრძვის, მტერს ვაჟკაცუ-
 რად უმკლავდება! მაგრამ რა უნდა გააწყოს ნახევრად განა-
 დგურებულმა მხედრობამ სწორედ იმ დროს, როცა მოსისხლე
 მტერს იერიში იერიშზედ მოაქვს და საცაა ჩვენს სამხედრო
 გემებსაც ცეცხლის ალში გაახვევს!

დიალ, ესეთია ჩვენი თანამოძმეების სულის კვეთება და
 შენ-კი, ჩემო საყვარელო მეგობარო, ამ დროს გულზედ ხე-
 ლებ დაკრეფელი შეჰყურებ ბრძოლის ველს, თითქო ელლინ-
 თა მხედრობის განადგურება შენ არ შეგვხებოდეს! კარგად
 ჩაუფიქრდი შენს საქციელს, დიდებულო აქილევს! განა დარ-
 წმუნებელი არა ხარ, რომ შენი ბრძოლის ველზედ ერთი უბ-
 რალო გამოსვლაც-კი, მტერს თავზარს დასცემს! შენ რომ
 მტერი ბრძოლის ველზედ გამოსულს დაგინახავს, ისე გა-
 ბედულად იერიშს იერიშზედ ვერ მოიტანს, ელლინთა მეო-
 მრებიც გამხნევდებიან და სულ სხვანაირად დატრიალდება
 ჩვენი საქმე! გემუდარები, მუხლებ მოდრეკით გვედრები, დი-



დებულო გმირთა გმირო, ნუ შერისხავ სამუდამოდ ელლინთა მხედრობას, ნუ შერისხავ სამუდამოდ ჩვენს საერთო სამშობლოს, მოიბრუნე შენი კეთილი გული და ომში მონაწილეობა მიიღე მტრის თავზარ დასაცემად! განა დიდებულის და სახელ-განთქმულის პელეასის ვაჟის შვილს სხვაფრივ მოქმედება შეჰშევნის! დიდებულ ქალ-ღმერთის ფეტიდას ვაჟის შვილს განა უფლება აქვს გულზედ ხელებ დაკრეფილი შეს-ცქეროდეს ელლინთა ოდესღაც ძღვევა-მოსილ მხედრობის განადგურებას! არა, ეს ყოვლად წარმოუდგენელია! შეიძლება, ჩემო გულითაღო მეგობარო, შენ გაშინებს ღმერთების მამათმთავრის წინასწარმეტყველება, თუ ასეა, ნება მომეცი მირმიდონიანთ რაზმებით მე მაინც გავილაშქრო მოსისხლე მტრის წინააღმდეგ! ამასთანავე ნება მიბოძე, შენის საომარ იარაღით დაუყოვნებლივ ბრძოლის ველისაკენ გავეშურო და ეს იმიტომ, რომ მტერმა ამ იარაღის დანახვაზედ ეგების აქილევსად მიმიღოს და ამ რიგად თავის აღვირ-წახსნილ თავხედობას ფრთები შეუკვეცოს!

ამ სიტყვებით ემუდარებოდა პატროკლოსი დიდებულს აქილევსს და თვალთაგან ცრემლები ნაკადულებრ გადმოსჩქეფდა.

ელლინთა გმირთა გმირმა ასე უპასუხა თავის გულითად მეგობარს:—დიდებულო პატროკლოს, განა ესეთი საყვედურის ღირსი ვარ? ღმერთების მამათმთავრის ზევსის წინასწარმეტყველება-კი არ მაიძულებს ომში მონაწილეობა არ მივიღო, არამედ ის დიდი შეურაცხყოფა, რომელიც ელლინთა მთავარ-სარდალმა აგამემნონმა მომაყენა. ჩემი გადაწყვეტილება შეურყევლად დარჩება, სანამ მტერი ჩვენს ხომალდებს არ მოუახლოვდება, სანამ იგი ჩვენის გემების ცეცხლით განადგურებას არ განიზრახავს. აი, თუ მართლა ეს ასე მოხდა, თუ მტერი მართლაც აქამდის გაკადნიერდა, მე მიუხედავად ზევსის წინასწარმეტყველებისა, უსათუოდ ომში მონაწილეობას მივიღებ და ჩვენს მოსისხლე მტერს საკადრისს პასუხს გავცემ. სანამ



ქართული
ლიტერატურა

ბრძოლის ველზედ გასვლა მომიხდებოდეს, ჩემო გულბრძანებლო მეგობარო, ნებას გაძლევ წაიყვანო მირმიდონიანთ რაზმები მტერთან საბრძოლველად. ჩემს სამხედრო იარაღით გამოწყობილ მტერს რისხვად მოვევლინე, შეუბრალებლად განგმირე საუკეთესო სარდლები და მეომრები. მხოლოდ, ჩემო საყვარელო მეგობარო, გახსოვდეს ჩემი სიტყვა, რომ მტერს შორს ნუ გაჰყვები კვალ და კვალ! ეს სახიფათო საშუალებაა მტერზედ გამარჯვებისა! შენგან დევნილს უკუქცეულ ტროადელებს გამოესარჩლება რომელიმე კეთილის მყოფი ღმერთთაგანი და მთელ თავის ღვთაებრივ ძალ-ღონით შენს წინააღმდეგ ამხედრდება!

სწორედ იმ დროს, როცა აქილევსი ასეთს დარიგებას აძლევს თავის გულითად მეგობარს, ტროადელებმა ცეცხლის აღში გაახვიეს ელლინთა ერთ ერთი ხომალდი. ხომალდიდან ამოვარდნილი ალი ცის ტატნობს სწვდებოდა.

— ძვირფასო პატროკლოს! — ხმა მაღლივ შეჰყვირა აქილევსმა: მსწრაფლად შეიარაღდი, ჰხედავ, მოსისხლე მტერი კარს მოგვდგომია! აქაველების უკანასკნელი საიმედო თავშესაფარი ცეცხლის აღში იბუგება და, თუ მტერმა ჩენი ხომალდები გაანადგურა, სამშობლოში ჩენი დაბრუნება ყოვლად მოუხერხებელია! მაშ, დიდებულო პატროკლოს, ხანდაუყონებლივ შეიარაღდი და მე-კი მეომრებს შეეკრებ და საომრად გავამზადებ!

აქილევსმა ელვის სისწრაფით გარს შემოიკრიბა მირმიდონელთა ძლივა-მოსილი რაზმები და სწრაფად ბრძანება გასცა საომრად შეთარაღებულებს. სანამ პატროკლოსი თავის შეგობრის იარაღში საომრად გამოეწყობოდა, ავტობედონი თავის მეგობარ პატროკლოსისათვის ფეხ მალ ცხენებს ქსანთოსა და ბარის ს მხედრო ეტლში აბამდა.

ყველანი უკვე მზად იყვნენ საომრად გამზადებულნი, მხოლოდ აქილევსის ბრძანებას უცდიდნენ. ელლინთა გმირთა გმირმა ხუთ ნაწილად დაჰყო მთელი ლაშქარი და თვითოეულს ნაწილს თავიანთი სარდალი მიუჩინა. ამ რიგად დანაწილებულ ლაშქარს აქილევსმა გამოთხოვებისას ასეთის სი-



ტყეებით მიჰმართა: სახელ-განთქმულნო მირმიდონელნო-
 ომარნო! აი, დადგა სწორედ ის წაში, რომელსაც თქვენ ასე
 მოუთმენლად მოელოდით! დღეს თქვენს მხნეობასა და სიმამ-
 ცეზედ არის დამოკიდებული ჩვენი საერთო სამშობლოს კე-
 თილდღეობა! ძღვევა-მოსილნო მეომარნო! მოიგონეთ ყველა
 ის მუქარა, რომლითაც არა ერთხელ მიგიმართავსთ ტროადე-
 ლების წინააღმდეგ! გული გაუგმირეთ მოსისხლე მტერს და
 მით სახელეთ თქვენი მთავარ სარდალი პატროკლოსი! ეს
 თქვენი სამღვთო და პირდაპირი მოვალეობაა და ღრმად დაი-
 მედებული ვარ კიდევაც პირნათლად შეასრულებთ!

ამ სიტყვებს შემდეგ, საომრად გამზადებული მხედრობა
 პატროკლოსის მთ ვარ-სარდლობით, ელვის სისწრაფით ბრძო-
 ლის ველისაკენ გაეშურა. აქილევსი შებრუნდა თავის სამხედ-
 რო კარავში, ამოიღო მშვენიერი, ძვირფასი ვერცხლის თასი,
 აავსო ღვინით და ეზოს შუა ადგილას ზეცად აღაპყრო ხელე-
 ბი და ღმერთების მამათმთავარს ზევსს ესე შეევედრა: „ღმერ-
 თების მამათმთავარო, ყოვლად შემძლებელო, დიდებულო,
 ცათა და ქვეყნისა მფლობელო, მაღალო ღმერთო! თვალ-
 ცრემლიანი გემუდარები შენ, რომელიც სცხოვრობ ცოდვილ
 ქვეყნიდან მოშორებით გვედრები შენ, დიდებულო ზევსო,
 რომელსაც ყოველთვის შეგისრულებია ყოველივე ჩემი თხოვ-
 ნა, ამ ჟამდაც მოიღე ჩემზედ მოწყალება და შემისრულე ის,
 რისთვისაც მე ასე თვალ ცრემლიანი გემუდარები! ბრძოლის
 ველზედ წარგვზავნე გულთადი ჩემი მეგობარი მირმიდონელ-
 თა ძღვევა-მოსილ რაზმებით მტერთან საბრძოლველად. ცათა
 და ქვეყნის მფლობელო! მიეცი მტერზედ გამარჯვება ჩვენს
 მხედრობას! ჩაუნერგე თვითოეულს მეომარს გულში იშვიათი
 მამაცობა, და განუმტკიცე გულში თვითოეულს მათგანს, რომ
 სამშობლოს კეთილდღეობა მოითხოვს ან სიკვდილს ან მტერ-
 ზედ გამარჯვებას!

ესე ევედრებოდა ელლინთა გმირთა გმირი აქილევსი
 ღმერთების მამათმთავარს ზევს სწორედ იმ დროს, როცა ძღვე-
 ვა მოსილი პატროკლოსი თავის მამაც მეომრებით ის იყო
 მოსისხლე მტერს უნდა შებრძოლებოდა.

ა. მიქაბერიძე.